



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფი

თავმჯდომარე:

- მარკ დევისი, ემერიტუსი, სანდერლენდის უნივერსიტეტი, გაერთიანებული სამეფო

წევრები

- მიხალი ბოროსი (თანა- თავმჯდომარე), სზეგედის უნივერსიტეტი, უნგრეთი
- ქეთევან აფთარაშვილი, განათლების მეცნიერებების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
- ნინო ზოგვერაძე (დამსაქმებელი ექსპერტი), ადვოკატი, კორმაძის საადვოკატო ბიურო, საქართველო
- გიორგი ფარეშიშვილი (სტუდენტი ექსპერტი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
- თორნიკე ხოშტარია, პრორექტორი აკადემიურ საკითხებში, სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
- ია ფანცულაია, ასოცირებული პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
- ნინო ფარსადანიშვილი, ჰორიზონტ ევროპის ოფისის ხელმძღვანელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი (ცნობილი და შემდგომში მოხსენიებული როგორც "გრუნი") წარმოადგენს კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც დაფუძნდა 1992 წელს, თავდაპირველად "ალმა მატერის" სახელწოდებით. უნივერსიტეტის ცენტრალური ოფისი მდებარეობს თბილისში, ხოლო მისი ფილიალი ფუნქციონირებს ბათუმში, რომელიც თბილისის კამპუსში არსებული პროგრამების ნაწილს სთავაზობს. უნივერსიტეტის მისიაა შექმნას საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული იდენტობის, ლიბერალური ღირებულებების განვითარებას და თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. იგი ასევე ხაზს უსვამს თავის მძლავრ სოციალურ ღირებულებებს, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და მისწრაფებას, შექმნას საგანმანათლებლო შესაძლებლობები იმ პირთათვის, რომლებსაც სხვაგვარად არ ექნებოდათ უმაღლესი განათლების მიღების საშუალება. გრუნი პროგრამებს სთავაზობს შემდეგ ფაკულტეტებზე (ასევე მოხსენიებული როგორც სკოლები): ბიზნესი და მენეჯმენტი, სამართალი, საჯარო ადმინისტრირება და პოლიტიკა, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, და მედიცინა (სტომატოლოგიის ჩათვლით). საბაკალავრო პროგრამები მოიცავს: ბიზნესის ადმინისტრირება, ბიზნესის ადმინისტრირება (ფინანსები), ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი), ბიზნესის ადმინისტრირება (მარკეტინგი), ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია, სამართალი, ფსიქოლოგია, საჯარო ადმინისტრირება და პოლიტიკა, და ტურიზმი. სამაგისტრო პროგრამები მოიცავს: ბიზნესის ადმინისტრირება, კლინიკური ფსიქოლოგია და კონსულტირება, სამართალი, მასობრივი კომუნიკაცია და საზოგადოებასთან ურთიერთობა, და საჯარო ადმინისტრირება. უნივერსიტეტი ასევე გთავაზობთ ორ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მედიცინასა და სტომატოლოგიაში, ასევე სადოქტორო პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირებაში, სამართალში, პოლიტიკურ ფილოსოფიასა და საჯარო ადმინისტრირებაში. ბოლო ინსტიტუციური ავტორიზაციის შემდგომ, უნივერსიტეტის ყველაზე მნიშვნელოვან განვითარებას წარმოადგენს თბილისში სამედიცინო სკოლის დაარსება. აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 420 პედაგოგს, საიდანაც 180 აკადემიური თანამდებობის მქონე პირია. სტუდენტთა საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 3900-ს, თუმცა მათგან დაახლოებით 33%-ს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი ავტორიზაციის პროცესში ადგილზე ვიზიტის დროს.

დაწესებულებაში განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

გრუნი-მ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგინა ვრცელი თვითშეფასების ანგარიში, თანდართული მრავალფეროვანი მტკიცებულებებით, რომელთა ნაწილი ინგლისურ ენაზე იყო წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიში ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად იყო აგებული, დოკუმენტი რთული აღსაქმელი იყო, აკლდა ლოგიკური სტრუქტურა და უპირატესად აღწერილობითი, ვიდრე ანალიტიკური ხასიათის იყო, რამაც გაართულა ექსპერტთა ჯგუფის მუშაობა. ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, თუმცა ეს მოთხოვნა ყოველთვის ვერ დაკმაყოფილდა. ექსპერტთა ჯგუფი დისტანციურად შეიკრიბა ადგილზე ვიზიტის წინ სამუშაოს განაწილების შესათანხმებლად. ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 24-27 ივნისს:

ორი დღე დაეთმო თბილისის კამპუსს, ხოლო ბოლო დღე - ბათუმის ფილიალს. ვიზიტისას ჯგუფმა დაათვალიერა ორივე კამპუსი, მათ შორის თბილისის კლინიკური განათლების ობიექტები. ჯგუფმა დაათვალიერა საკლასო ოთახები, სოციალური და კვების ობიექტები, ბიბლიოთეკები, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და OSCE- ს ლაბორატორიები, სიმულაციური კომპლექსები, მედიაციის ცენტრი, იმიტირებული სასამართლო დარბაზი, სატელევიზიო სტუდია, საფონდო ბირჟის სიმულაციური ოთახი და სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია. ჯგუფმა შეხვედრები გამართა შემდეგ ჯგუფებთან: რექტორი, პრორექტორები, რექტორის აპარატის წევრი და კანცლერი; თვითშეფასების ჯგუფი; აკადემიური საბჭოსა და უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები; ფაკულტეტების დეკანები; დამხმარე სამსახურების ხელმძღვანელები, მათ შორის კვლევითი დეპარტამენტის წარმომადგენლები; საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები; აკადემიური და მოწვეული პერსონალი ორივე კამპუსიდან; სტუდენტები და კურსდამთავრებულები ორივე კამპუსიდან; სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი და სტუდენტური ომბუდსმენი; დამსაქმებლები; და ბათუმის კამპუსის ხელმძღვანელი პერსონალი. აღსანიშნავია, რომ ყველა შეხვედრისას მონაწილეები ავლენდნენ მაღალ ენთუზიაზმს და მოტივაციას, რაც, ზოგადად, მიუთითებდა დაწესებულებაში კოლეგიალური ატმოსფეროს არსებობაზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

უსდ მეტწილად შესაბამისობაშია 1-ელ სტანდარტთან: *უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება*

უნივერსიტეტის ინსტიტუციური მექანიზმები ზოგადად კომპლექსური და მრავალმხრივია, თუმცა აღსანიშნავია კონკრეტული მისიის არარსებობა. დაწესებულების ხედვა ხასიათდება მაღალი ამბიციურობით და მიზანსწრაფულობით, რაც უზრუნველყოფს მკაფიო სტრატეგიულ მიმართულებას. ეს ხედვა ეფექტურად ინტეგრირდება როგორც საქართველოს, ისე ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებთან, ასახავს უნივერსიტეტის სოციალურ ფუნქციასა და როლს ადგილობრივ და საერთაშორისო კონტექსტში. აღნიშნული ორიენტირები საჯაროდ ხელმისაწვდომია. მიუხედავად მისიის ფართო მასშტაბისა, დაწესებულების ზოგიერთ წევრს გაუჭირდა საკუთარი წვლილის დასახელება მის განხორციელებაში. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ეფუძნება მყარ მტკიცებულებებს, და უნივერსიტეტი აგროვებს მონაცემებს პროგრესის შესაფასებლად დასახული გეგმების მიმართ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა საბოლოო მტკიცებულება იმისა, თუ როგორ იყენებს უნივერსიტეტი ამ მონაცემებს პრაქტიკაში პროგრესის მონიტორინგისთვის.

უსდ მეტწილად შესაბამისობაშია მე-2 სტანდარტთან: *უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა*

გრუნი- ს ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას. სტრუქტურა მოიცავს ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულ ერთეულებს, რომლებიც მხარს უჭერს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას იერარქიული და ჰორიზონტალური ურთიერთობების კომბინაციით. ძირითადი პრინციპები, რომლებიც წარმართავს ამ სტრუქტურას, მოიცავს ღიაობას, მოქნილობას და ფუნქციონალურ სისრულეს, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადაპტაციას ახალ გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან, ამავედროულად ფოკუსირებას ახდენს ძირითად პროცესებზე, მათ შორის სწავლებაზე, კვლევასა და საზოგადოებრივ მომსახურებაზე. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები მკაფიოდაა განსაზღვრული და განაწილებული. თანამშრომლებს კარგად ესმით საკუთარი ფუნქციები, თუმცა სასურველია სტუდენტური თვითმმართველობის ავტონომიურობის გაძლიერება. თანამდებობის პირთა ფუნქციები და პასუხისმგებლობები ნათელია, თუმცა მრავალი ინდივიდის მიერ რამდენიმე როლის შეთავსება ქმნის პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში პერსონალის დანიშვნის ან არჩევის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და შეესაბამება კანონმდებლობას. ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან პრიორიტეტს და განიცდის ექსპანსიას. ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ზოგადად კარგადაა გააზრებული და ეფექტური, თუმცა სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა მეტ დახვეწას საჭიროებს. უნივერსიტეტს გააჩნია მყარი პრინციპები ეთიკასა და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, თუმცა შესაძლებელია პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფის უფრო ეფექტური გამოყენება.

უსდ მეტწილად შესაბამისობაშია მე-3 სტანდარტთან: საგანმანათლებლო პროგრამები

საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, მოდიფიცირებისა და გაუქმების პროცედურები გასაგებია. ინსტიტუციის ზოგადი მიზანია კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ჰუმანიტარულ, სოციალურ, მენეჯმენტის, სამედიცინო და სხვა მოთხოვნად სფეროებში. რეგულირებული მიდგომა და პროგრამების გამჭვირვალე და ერთიანი სტრუქტურა ამარტივებს პროგრამების მიმოხილვასა და ადეკვატურ ხარისხის უზრუნველყოფას. თუმცა, პროგრამის კომიტეტები არასაკმარისად არის განმარტებული და მათგან მოითხოვება აზრთა არაორდინარულად ფართო სპექტრის გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებამდე. პროგრამების შეფასება ხორციელდება შემაჯამებელი სტატისტიკის გამოყენებით, რაც ქმნის უფრო საფუძვლიანი ანალიზის ჩატარების შესაძლებლობას მონაცემთა დაშლის გზით, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის თვითშემეცნების გაუმჯობესებას. პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგები ძირითადად მკაფიოდაა ფორმულირებული, თუმცა არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი გამონაკლისი, რომელიც კორექტირებას საჭიროებს. ამასთან, სტუდენტებს არ აქვთ სათანადოდ გააზრებული ცნება 'სწავლის შედეგები'. ზოგადად, პროგრამები უზრუნველყოფს მათი მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მეთოდოლოგია მოითხოვს გამარტივებას. ზოგიერთი ნორმატიული მითითების პრაქტიკა კვლავ გრძელდება, რაც უნდა აღმოიფხვრეს. თითოეული პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მოქნილობას არჩევითი კომპონენტების არჩევისას, რაც დადებით მახასიათებლად უნდა ჩაითვალოს, ისევე როგორც გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობა პროგრამის

შეფასების პროცესში. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, პროგრამები ზოგადად კარგადაა სტრუქტურირებული და პასუხობს მომავალი კურსდამთავრებულებისა და მათი პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნებს.

უსდ სრულ შესაბამისობაშია მე-4 სტანდარტთან: *უსდ-ის პერსონალი*

ადამიანური რესურსების მართვა და შრომითი ურთიერთობები რეგულირდება შესაბამისი შიდა და საკანონმდებლო ჩარჩოებით, ნაწილობრივ ეფუძნება ადამიანური რესურსების/ პერსონალის მართვის მყარ პოლიტიკას, რომელიც ემყარება თანასწორობის, მრავალფეროვნების, გამჭვირვალობის, გამოხატვის თავისუფლების, ურთიერთპატივისცემის, მხარდაჭერის, ღიაობისა და პროფესიული განვითარების პრინციპებს. აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კრიტიკულ რესურსს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობისთვის, თუმცა არსებობს გარკვეული შეშფოთება ანაზღაურების სისტემის ადეკვატურობასთან და აფილირებული პერსონალისთვის გარკვეული პრივილეგიების მინიჭებასთან დაკავშირებით. ახალი თანამშრომლები გადიან ადაპტაციის პერიოდს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია, რომ უფრო გამჭვირვალე, სისტემატური და ობიექტური მიდგომა უფრო ეფექტური იქნებოდა უნივერსიტეტის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პერსონალისთვის, მათ შორის ახალი თანამშრომლებისთვის, ხელმისაწვდომია პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ახალ პერსონალს შეუძლია დაიწყოს პედაგოგიური საქმიანობა ფორმალური პედაგოგიური მომზადების გარეშე. აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და დაბალანსებულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფს საკმარის დროს კვლევითი საქმიანობისთვის. აფილირებული და არააფილირებული პერსონალის მოვალებები მკაფიოდაა განსაზღვრული.

უსდ სრულ შესაბამისობაშია მე-5 სტანდარტთან: *სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები*

უნივერსიტეტმა შეიმუშავა ყოვლისმომცველი, საჯარო რეგულაციები, რომლებიც არეგულირებს სტუდენტის სტატუსთან და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ ასპექტებს ყველა აკადემიურ საფეხურზე. ეს რეგულაციები მოიცავს სტუდენტის სტატუსის მინიჭების, შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს, სტუდენტთა მობილობას, კვალიფიკაციის მინიჭებას, აკადემიური დოკუმენტაციის გაცემასა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარებას. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან ამ რეგულაციების, მათი პასუხისმგებლობებისა და შესაბამისი შედეგების შესახებ. სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტმა დანერგა მრავალმხრივი მექანიზმები. სტუდენტთა უფლებები და ვალდებულებები დეტალურად არის გაწერილი უნივერსიტეტის წესდებასა და სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებებში. უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტთა წარმომადგენლობით მონაწილეობას მმართველობით და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში. სტუდენტებს აქვთ საშუალება შეაფასონ საგანმანათლებლო პროგრამები და აკადემიური პერსონალის საქმიანობა, ასევე არჩეულ იქნან ან წარდგენილ იქნან

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში. სტუდენტთა ფინანსური დაცვის მექანიზმები ინტეგრირებულია მარეგულირებელ ჩარჩოში. უნივერსიტეტში დანერგილია სწავლის შედეგებისა და სადისერტაციო ნაშრომების დაცვის შედეგების გასაჩივრების პროცედურები. რეგულაციები კრძალავს სტუდენტთა შეფასებების დაკლებას, გარდა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევებისა. დაარსდა სტუდენტთა ომბუდსმენის დამოუკიდებელი ოფისი უფლებათა პოტენციური დარღვევების აღმოსაფხვრელად, თუმცა მის მიერ განხილულ საქმეთა სიმცირე ავტორიზაციის ბოლო პერიოდში წარმოშობს კითხვებს არსებული ომბუდსმენის მექანიზმის ეფექტურობასთან დაკავშირებით. ეს მიუთითებს საკითხების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის პროცესის გაუმჯობესების აუცილებლობაზე. სოციალური მხარდაჭერის ინიციატივები, როგორიცაა სტიპენდიები, ქმნის სოციალური მხარდაჭერის გარემოს და ხელს უწყობს განათლების ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სოციალური ჯგუფისთვის. სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები კარგადაა განვითარებული, განსაკუთრებით კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, რომელიც მრავალმხრივ მიდგომას იყენებს. მრავალფეროვანი საკომუნიკაციო სტრატეგია, სტუდენტური ინიციატივების ფინანსურ და ადმინისტრაციულ მხარდაჭერასთან ერთად, ქმნის გარემოს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას აკადემიურ და კლასგარეშე აქტივობებში. მიუხედავად ამისა, არსებობს სტუდენტური ორგანიზაციებისა და კლუბების მხარდაჭერის, ასევე სტუდენტური აქტივობების შემდგომი გაუმჯობესების პოტენციალი.

უსდ სრულ შესაბამისობაშია მე-6 სტანდარტთან: კვლევა, განვითარება და/ ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

გრუნი აქტიურად არის ჩართული კვლევით საქმიანობაში, ინსტიტუციური კვლევითი პოტენციალის გაძლიერებასა და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარებაში. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის წახალისებისთვის, თუმცა შეინიშნება გარკვეული დეფიციტი უმაღლესი აკადემიური მიღწევების კუთხით. სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივების განვითარების ფონდი ახორციელებს შიდა პროექტების, კვლევითი ვიზიტების, კონფერენციებში მონაწილეობისა და პუბლიკაციების დაფინანსებას. ფონდი კოორდინირებულად მუშაობს სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრთან, რომელიც პასუხისმგებელია კვლევითი პროექტების შემუშავებასა და შესაბამის ტრენინგებზე. მართალია, ბოლო პერიოდში ციტირების ინდექსები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ ისინი კვლავ დაბალ საბაზისო დონეზე რჩება. კონფერენციებსა და კვლევის დაფინანსებას ძირითადად ლოკალური ხასიათი აქვს, რაც მიუთითებს გრუნი- ს პოტენციალზე, უფრო სისტემატურად დაამკვიდროს თავისი კვლევითი პოზიცია გლობალურ აკადემიურ არენაზე. ეს მიდგომა თანხვედრაშია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიასთან, რომლის მიმართულებითაც უკვე გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები. კვლევითი საქმიანობა სტრუქტურირებულია ცენტრებად ან ინსტიტუტებად, რომლებიც დაკავშირებულია სკოლების ორგანიზაციულ სტრუქტურასთან. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა კვლევითი აქტივობების ზუსტი დადგენა, რაც ასევე დამაბნეველი იყო უნივერსიტეტის ზოგიერთი თანამშრომლისთვის. დოქტორანტურის

კურსდამთავრებულთა რაოდენობა, გლობალური სტანდარტებით (თუმცა არა ქართული სტანდარტებით), დაბალია, რაც გაუმჯობესებას საჭიროებს გრუნი- ს აკადემიური რეპუტაციის შემდგომი ამაღლების მიზნით.

უსდ სრულ შესაბამისობაშია მე-7 სტანდარტთან: მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა მოიცავს ორ ძირითად კამპუსს: ერთს თბილისში და მეორეს ბათუმში. დამატებით, დედაქალაქში უნივერსიტეტს გააჩნია სტომატოლოგიური კლინიკა, საუნივერსიტეტო საავადმყოფო და კლინიკური უნარების ცენტრი. ზოგადად, შენობები ადეკვატურად არის ადაპტირებული მათი ფუნქციური დანიშნულებისთვის, უზრუნველყოფილი ოპტიმალური საგანმანათლებლო სივრცით. გამონაკლისს წარმოადგენს ბათუმის კამპუსი, სადაც სასწავლო აუდიტორიები საჭიროებს გარკვეულ კოსმეტიკურ რეაბილიტაციას და, გარდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიისა, მოკლებულია თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სპეციალიზებული ობიექტი, მათ შორის იმიტირებული სასამართლო დარბაზი, სატელევიზიო და რადიო სტუდიები, საფონდო ბირჟის სიმულაციური ოთახი, სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორია და სამედიცინო სტუდენტებისთვის განკუთვნილი სიმულაციური აღჭურვილობა, გამოირჩევა მაღალი ხარისხით. უნივერსიტეტს შეუძლია გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურის ადაპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის. მიუხედავად ამისა, ზოგადად, შეინიშნება სრული შესაბამისობა არსებულ ინფრასტრუქტურასა და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას შორის. საბიბლიოთეკო რესურსები განთავსებულია ორივე მთავარ კამპუსში. თითოეული ბიბლიოთეკა აღჭურვილია სამკითხველო დარბაზით, ინდივიდუალური სამუშაო სივრცეებითა და ჯგუფური მუშაობისთვის განკუთვნილი ოთახებით. ხელმისაწვდომია საინფორმაციო ტექნოლოგიური რესურსები და აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობა, მათ შორის კომპიუტერები, ასლის გადამღები აპარატები, შეუზღუდავი ინტერნეტ- წვდომა და პრინტერები. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი და ელექტრონული რესურსები შეესაბამება კურსების სილაბუსებში მითითებულ ბიბლიოგრაფიას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას აუცილებელ მასალებზე როგორც ბეჭდური, ისე ციფრული ფორმატით. "Nexus" წარმოადგენს ძირითად ელექტრონულ საკომუნიკაციო პლატფორმას აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. ექსპერტთა ჯგუფს აჩვენებს Nexus- ის მუშაობა როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის პერსპექტივიდან, რამაც დაადასტურა მისი მრავალფუნქციური ოპერირება. უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიულ და შუალედურ სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების რეალიზაციას, ხოლო ბიუჯეტში ასახული ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია.

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია ძირითადი თანამდებობის პირები მეტად იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, როგორ უკავშირდება მათი ფუნქციები უნივერსიტეტის მისიას.

2. რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგებს გარკვეული ქმედებები მოჰყვეს.
3. უნდა გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრული ჩართულობა და ინფორმირებულობა.
4. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და გამჭვირვალობა აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტი ადეკვატურად ინფორმირებულია მათი უფლებამოსილებისა და მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.
5. რეკომენდებულია სტუდენტური თვითმმართველობის სრული ავტონომიის უზრუნველყოფა.
6. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარებისას რეკომენდებულია სრულყოფილი მონაცემების დამუშავება და ეფექტური გამოყენება.
7. რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორიცაა სტუდენტის სქესი, პროგრამა და სწავლების ლოკაცია.
8. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობა გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორიცაა მარეგულირებელი ორგანოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, სამეცნიერო საზოგადოებები, კვლევითი ინსტიტუტები, კურსდამთავრებულები, ფარმაცევტული და სხვა ინდუსტრიული კომპანიები.
9. რეკომენდებულია მედიცინის პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგების რევიზია იმგვარად, რომ ისინი ასახავდეს სწავლის შედეგების მიზნობრივ ხასიათს და წარმოდგენდეს შეფასებად ერთეულებს.
10. რეკომენდებულია სტუდენტების ეფექტური ინფორმირება სწავლის შედეგების შესახებ.
11. რეკომენდებულია ცხოველებზე კვლევების წარმოება კონკრეტული რეგულაციებისა და "სამი R-ის პრინციპის" (Replacement, Reduction, Refinement) დაცვით კვლევისა და ტესტირების პროცესში (დირექტივა 2010/63/EU ადგენს ზომებს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დასაცავად); გრუნ-ის რეგულაციები და ეთიკის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს ამ პრინციპებს.
12. რეკომენდებულია ნორმაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის გაუქმება და მხოლოდ კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასების იმპლემენტაცია, რათა ინდივიდუალური სტუდენტის ქულები მხოლოდ მის მოსწრებაზე იყოს დამოკიდებული.
13. რეკომენდებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) გამოყენება კლინიკურად შესაბამისი კომპეტენციების შესაფასებლად, პრაქტიკული კლინიკური მომზადების სტანდარტების გამოსაკვეთად.

14. რეკომენდებულია საუნივერსიტეტო დონეზე სწავლისა და სწავლების სავალდებულო სასწავლო კურსის შემუშავება და დანერგვა ყველა ახალი პედაგოგიური პერსონალისთვის.
15. რეკომენდებულია გადაიხედოს აფილირებული პერსონალის სახელფასო პოლიტიკა.
16. რეკომენდებულია ადაპტაციის პერიოდის ჩანაცვლება საცდელი (ან მსგავსი) პერიოდით და მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმების განსაზღვრა საბოლოო დასაქმებისთვის.
17. რეკომენდებულია მონიტორინგის სისტემის დანერგვა, რომელიც გამოავლენს ინდივიდუალურ და სისტემურ საკითხებს, აცნობებს მათ შესახებ სტუდენტთა ომბუდსმენის ოფისს და გამოიყენებს რეგულარულ აუდიტს სტუდენტთა წარმომადგენლობით ორგანოებთან.
18. რეკომენდებულია უცხოელი სტუდენტების მონაწილეობის გაძლიერება სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებში, კერძოდ სტუდენტურ თვითმმართველობაში.
19. რეკომენდებულია ბათუმის ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით.
20. რეკომენდებულია ყველა სასწავლო და სოციალური სივრცის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა.

რჩევები

1. სასურველია მოხდეს იმ მაღალი თანამდებობის მქონე თანამშრომლების სამუშაო დატვირთვის რეგულარული შეფასება, რომლებიც რამდენიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას იკავებენ, იმის დასადგენად ზედმეტად დატვირთულები ხომ არ არიან.
2. სასურველია რექტორის მოადგილის დაქვემდებარებაში მოექცეს შესაბამისი დეპარტამენტები უცხოელი სტუდენტების მიღების მიმართულებით.
3. სასურველია ლიკერტის სკალის მონაცემთა ანალიზის საშუალო მაჩვენებლების გამოყენების მიზნით შეწყვეტა.
4. სასურველია დაინერგოს სრულად დიგიტალიზებული პროცესები კვლევითი მონაცემების პრეზენტაციის, ინტერპრეტაციისა და ანგარიშების მიზნებისთვის.
5. სასურველია პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის გონივრული გამოყენება (მსგავსების პროცენტული მაჩვენებლის გამოყენების გარეშე) სტუდენტის ნაშრომის პლაგიატზე შესამოწმებლად და ამ ცვლილების ეფექტური კომუნიკაცია პერსონალსა და სტუდენტებთან.
6. სასურველია მექანიზმების შემუშავება ხელოვნური ინტელექტისგან წარმოქმნილი პოტენციური რისკების დასაცავად.

7. სასურველია პროგრამის მართვისთვის შექმნილი პროგრამული კომიტეტის როლის, ამოცანებისა და კომპეტენციების მკაფიო განმარტება და რეგულირება.
8. სასურველია, მიღებულ იქნას აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა, რომ სწავლის შედეგები შეფასებული იქნას როგორც ზღვრული ცნებები.
9. სასურველია სტუდენტური ორგანიზაციებისა და კლუბებისთვის ერთიანი სისტემის დანერგვა.
10. სასურველია დაიწყოს კვლევითი პროგრამები, რომლებიც მოითხოვს კოლაბორაციას ორივე კამპუსის სტუდენტებს შორის და „კამპუსის კულტურის კვირეულების“ ან მსგავსი ღონისძიებების ორგანიზებას, თითოეული კამპუსის უნიკალური ასპექტების წარმოსაჩენად.
11. სასურველია კვლევითი საქმიანობის მაღალი ხარისხის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, მათ შორის კონფერენციებში მონაწილეობა, საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების მიზნობრივი გამოქვეყნება და გარე კვლევითი დაფინანსების მოზიდვა.
12. სასურველია კვლევის ორგანიზაციული სტრუქტურა უფრო გამარტივებული მოდელის მიხედვით იყოს აგებული, რათა თითოეულმა მკვლევარმა ნათლად იცოდეს რას უნდა ელოდოს და რას მიიღებს უნივერსიტეტისგან. კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების შენარჩუნების შემთხვევაში, მათი როლები და მოვალეობები გამჭვირვალე უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.
13. სასურველია მოხდეს დოქტორანტურის პროგრამის დასრულების დაბალი მაჩვენებლის მიზეზების ანალიზი და შემუშავდეს სტრატეგია დასრულების კოეფიციენტის გასაზრდელად.
14. სასურველია სტუდენტებში ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
15. კარგი იქნება, თუ აბიტურიენტებს და/ ან კურსდამთავრებულებს Nexus- ის გარკვეულ ფუნქციებზე ექნებათ წვდომა.

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

- კრიმინოლოგიის სწავლებისა და ექსპერტიზის ცენტრის ფუნქციონირება და აღჭურვა, რაც გამორჩეულად ეფექტურია სამართლის პროგრამის სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სწავლობს სისხლის სამართლის მიმართულებით.
- მედიცინის პროგრამის მხარდასაჭერად სპეციალიზებული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა და მასშტაბი.

შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☒	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები	☐	☒	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☒	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მარკ დევისი (თავმჯდომარე)

2. მიხალი ბოროსი (თანათავმჯდომარე)
3. ქეთევან აფთარაშვილი (წევრი)
4. ნინო ბოგვერაძე (წევრი)
5. გიორგი ფარეშიშვილი (წევრი)
6. თორნიკე ხოშტარია (წევრი)
7. ია ფანცულაია (წევრი)
8. ნინო ფარსადანიშვილი (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

უნივერსიტეტს არ აქვს ცალკე გამოკვეთილი მისია, არამედ გადმოსცემს თავის მიზანდასახულობას ხუთი მიზნის სახით. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მიზნები უმნიშვნელოდ განსხვავდება დოკუმენტისგან "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისია, ხედვა, მიზნები და ღირებულებები" და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე წარმოდგენილი მიზნებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე განსხვავდებიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილი მიზნებისგან, ძირითადი განწყობა თითქმის იდენტურია და მნიშვნელოვნად შეესაბამება როგორც საქართველოს, ისე ფართო ევროპულ უმაღლესი განათლების მიზნებს. ისინი კონკრეტულად ეხება უნივერსიტეტის სოციალურ ფუნქციასა და როლს როგორც ადგილობრივ, ისე ინტერნაციონალურ კონტექსტში. მიზნები ხაზს უსვამს საზოგადოების აქტიური წევრების ფორმირების მნიშვნელობას, ცოდნის გაღრმავებისა და გავრცელების ხელშეწყობას და სტუდენტების პიროვნული განვითარებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას.

მისია ეფუძნება ბოლონიის პროცესის პრინციპებს, რომელიც მოიცავს ევროპულ საგანმანათლებლო ღირებულებებსა და ამოცანებს. მისიის განსაზღვრის ფუნდამენტურ საფუძველს წარმოადგენს ცოდნის საზოგადოების ხელშეწყობა, სოციალური და პროფესიული მობილობის გაძლიერება, ტექნოლოგიური და მომსახურების ინოვაციების განვითარება და ეროვნული კულტურისა და ბიზნესის გაძლიერება, რაც ქმნის საფუძველს სოციალური კეთილდღეობისთვის.

მისია ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ერთგულებას საერთაშორისო აკადემიური სტანდარტებისა და მაღალი ხარისხის სწავლებისა და სწავლის მიმართ. ის მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას ადგილობრივი და გლობალური საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზრებისთვის, აყალიბებს მძლავრი სამეცნიერო კვლევის კულტურას და იცავს და აფართოებს ზოგად ცოდნას.

უნივერსიტეტს ასევე აქვს "უნივერსიტეტის საზღვრებს გარეშე" ხედვა, რომელიც მოიცავს "ლიდერის როლს გლობალურ საუნივერსიტეტო პოლიტიკაში". ეს ხედვა, ფაქტობრივად აღქმული, შეიძლება მიუწვდომლად ჩაითვალოს, თუმცა უფრო ფართო კონტექსტში ის უბიძგებს ინტერნაციონალიზმამდე, რაც უნივერსიტეტის მნიშვნელოვან საქმიანობას წარმოადგენს.

უნივერსიტეტის ღირებულებები მოიცავს მაღალ ეთიკურ სტანდარტებს, რომლებიც ეფუძნება ლიბერალიზმისა და დემოკრატიის კონცეფციებს და მიზნად ისახავს სტუდენტების მოთავსებას სასწავლო აქტივობების ცენტრში. როგორც ასეთი, ისინი მყარია.

უნივერსიტეტი თავის ხედვას, მისიას, მიზნებსა და ღირებულებებს საჯაროდ აქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე. მიუხედავად იმისა, რომ გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ მისია, ზოგადად, კარგადაა ინტეგრირებული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ფუნქციებში და მისი პათოსი წარმოადგენს სტუდენტის სწავლის საფუძველს. ეს აუცილებლად ასე იქნება, რადგან მთლიანობაში მისია ძალზედ ფართოა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ "თითოეული სტრუქტურული ერთეული ფოკუსირებულია უნივერსიტეტის საერთო მისიის ცალკეულ ასპექტზე". ჯგუფმა გამოსცადა ეს დებულება და სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის წევრებსა და ხელმძღვანელებს სთხოვა დაეკონკრეტებინათ უნივერსიტეტის მისიის რომელ ასპექტზე აკეთებდნენ აქცენტს: უმეტესობამ ვერ შეძლო ნათლად აეხსნა საკუთარი როლი მისიასთან მიმართებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • უნივერსიტეტის მისია • უნივერსიტეტის ვებგვერდი • გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან • დოკუმენტი "გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მისია, ხედვა, მიზნები და ღირებულებები" • სტრატეგიული განვითარების გეგმა
რეკომენდაციები • რეკომენდებულია ძირითადი თანამდებობის პირები მეტად იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, როგორ უკავშირდება მათი ფუნქციები უნივერსიტეტის მისიას.
წინადადებები
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
1.2 სტრატეგიული განვითარება ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები. ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

უნივერსიტეტის მიზნები მჭიდრო კავშირშია მის მისიასა და ფუნდამენტურ პრიორიტეტებთან. ეს მიზნები რეალისტურია, აქვს მკაფიო დროითი ჩარჩოები და გაზომვადია პროგრესის მონიტორინგის მიზნით.

უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში ასახულია მისი შვიდწლიანი განვითარების სტრატეგია (2024 წლიდან). გეგმა ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიზნების რეალიზაციას ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზებით და სტრატეგიული ამოცანების მიღწევის მექანიზმების დანერგვით. იგი მოიცავს სპეციფიკურ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და პრიორიტეტებს. უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმა მკაფიოდ განსაზღვრავს სამომავლო აქტივობებს, მათი განხორციელების კონკრეტულ ვადებს და საჭირო რესურსებს (ფინანსურს, მატერიალურს და ადამიანურს).

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა ასპექტს, მათ შორის ინსტიტუციურ განვითარებას, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვას, კვლევას, სახელოვნებო და შემოქმედებით საქმიანობას, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებს, სტუდენტთა სერვისებსა და ინფრასტრუქტურას. სამოქმედო გეგმა დეტალურად აღწერს სამომავლო აქტივობებს, მათი რეალიზაციის კონკრეტულ ვადებს, შესრულების კრიტერიუმებს და აუცილებელ რესურსებს (მატერიალურს, ფინანსურს, ადამიანურს) მათი წარმატებული განხორციელებისთვის.

სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და თანმიმდევრულია, სადაც უკანასკნელი ეფექტურად კოორდინირებს პირველის განხორციელებას [1.2.1;1.2.2]. ეს იმის ინდიკატორია, რომ უნივერსიტეტს აქვს ნათელი ხედვა საკუთარი ადგილის შესახებ და მზადაა აღმოფხვრას არსებული ხარვეზები.

უნივერსიტეტი იყენებს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების ფორმულირებას. ეს მეთოდოლოგია გულისხმობს პროგრესის სისტემატურ მონიტორინგსა და შეფასებას. პროცედურების ეფექტურობა ითვლება ალგორითმის საშუალებით, რომელიც ახდენს მიღწევის კონვერტაციას რიცხობრივ მაჩვენებლად, მიუხედავად იმისა, რომ რიგობითი მონაცემების ამგვარი გამოყენება მათემატიკურად არაადეკვატურია. თვითშეფასების ანგარიშში უნივერსიტეტმა წარმოადგინა თითოეული სტრატეგიული მიზნის ეფექტურობის ანგარიში 64.7- დან 79.2%- მდე დიაპაზონში [გვ.28]. თუმცა, ინსტიტუციამ არ წარმოადგინა ამ შედეგებზე რეაგირების მექანიზმები, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფი ვერ დარწმუნდა ასეთი მექანიზმების არსებობაში.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მონაწილეობითია, რომელიც მოიცავს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ინსტიტუციამ განაცხადა, რომ ეს ინკლუზიური მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ სტრატეგიულ გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის მთელი საზოგადოების საჭიროებები და სურვილები. თუმცა, გასაუბრებების პროცესში გამოვლინდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე არ იყო სათანადოდ ინფორმირებული სტრატეგიულ დოკუმენტში ასახული პრიორიტეტების შესახებ.

უნივერსიტეტი პროაქტიულად უწყობს ხელს საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გავრცელებას მრავალფეროვანი ინიციატივების მეშვეობით. ეს მოიცავს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პროგრამებსა და ღონისძიებებს, უწყვეტი განათლების ინიციატივებს და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის აქტიურ ჩართულობას სოციალურ საკითხებში. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საკონსულტაციო მომსახურებას და ახორციელებს კვლევით პროექტებს ინდუსტრიის სხვადასხვა სექტორისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • სტრატეგიული განვითარების გეგმა • სამოქმედო გეგმა • უნივერსიტეტის ვებგვერდი • გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან
რეკომენდაციები • რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული პროგრესის მონიტორინგის შედეგებს გარკვეული ქმედებები მოჰყვეს. • უნდა გაძლიერდეს სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ყველა დაინტერესებული მხარის სრული ჩართულობა და ინფორმირებულობა.
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.

- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის მისიისა და მიზნების შესაბამისად, უსდ-ის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

გრუნი- ს ორგანიზაციული სტრუქტურა ხელს უწყობს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებას. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ინსტიტუციის ორგანიზაციული სტრუქტურა შედგება ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული ერთეულებისგან, რომლებიც მხარს უჭერს უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიას ვერტიკალური და ჰორიზონტალური ურთიერთობების სინთეზის მეშვეობით. ძირითადი პრინციპები, რომლებიც წარმართავს ამ სტრუქტურას, მოიცავს ღიაობას, მოქნილობას და ფუნქციონალურ სისრულეს, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადაპტაციას ახალ გამოწვევებთან და შესაძლებლობებთან, ამავდროულად ფოკუსირებას ახდენს ძირითად პროცესებზე, მათ შორის სწავლებაზე, კვლევაზე და საზოგადოებრივ მომსახურებაზე.

რექტორის ხუთი მოადგილე პასუხისმგებელია შემდეგ სფეროებზე: აკადემიური საქმიანობა და სტუდენტთა მხარდაჭერა, ადმინისტრაციული და იურიდიული საკითხები, ხარისხის უზრუნველყოფა, სამეცნიერო კვლევა და საერთაშორისო სტუდენტების მიღება. ორგანიზაციული სქემის მიხედვით, ისინი აკონტროლებენ თავიანთ სფეროებთან დაკავშირებულ სტრუქტურულ ერთეულებს. თუმცა, საერთაშორისო სტუდენტების მიღებაზე პასუხისმგებელ რექტორის მოადგილეს არ ჰყავს პირდაპირ დაქვემდებარებაში არცერთი სტრუქტურული ერთეული. ორგანიზაციულ სტრუქტურაში მიზანშეწონილია, რომ ყველა მაღალი თანამდებობის მქონე პირს, კერძოდ, რექტორის მოადგილეებს, ჰქონდეთ მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები და აკონტროლებდნენ კონკრეტულ დეპარტამენტებსა თუ ფუნქციებს. ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სტუდენტების მიღებაზე პასუხისმგებელ რექტორის მოადგილეს არ ჰყავს ერთეული უშუალო დაქვემდებარებაში, შეიძლება მიუთითებდეს სტრუქტურაში არსებულ ხარვეზზე.

გრუნი- ს ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით, სტუდენტური თვითმმართველობა ფუნქციონირებს რექტორთან კოორდინაციით. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გაიგო, რომ რექტორს აქვს შესაძლებლობა გავლენა იქონიოს დანიშვნებზე. საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ" ადგენს, რომ "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას არ აქვს უფლება ჩაერიოს სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში" (მუხლი 45). ეს საკანონმდებლო დებულება ხაზს უსვამს სტუდენტური თვითმმართველობის ავტონომიის მნიშვნელობას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის თავისუფლებას მართონ საკუთარი საქმიანობა ინსტიტუციის მხრიდან ჩარევის გარეშე.

დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული და განაწილებული, და პერსონალი კარგად იცნობს საკუთარ ფუნქციებს. გრუნი- ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავდა მენეჯმენტის სამი დონის (მაღალი, საშუალო და დაბალი) ყველა ფუნქციასა და სამუშაოს აღწერილობას. მაღალი საფეხური მოიცავს რექტორს, აკადემიურ საბჭოს (როგორც კოლეგიალურ ორგანოს), კანცლერს, რექტორის მოადგილეებს და ფაკულტეტების დეკანებს. აკადემიური საბჭო დაკომპლექტებულია აკადემიური პერსონალითა და სტუდენტებით. "გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დებულების" თანახმად, საბჭოს სტუდენტ წევრებს ირჩევს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო. თვითმმართველობას აქვს უფლებამოსილება აირჩიოს სტუდენტები საბჭოში მონაწილეობისთვის, მიუხედავად იმისა, არიან თუ არა ისინი თვითმმართველობის წევრები. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არ არის სრულად

ავტონომიური უნივერსიტეტისგან, სტუდენტთა დანიშვნები აკადემიურ საბჭოში ასევე არ არის სრულად დამოუკიდებელი. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელთან ჩატარებულმა გასაუბრებამ გამოავლინა ინფორმაციის დეფიციტი ამ პროცედურებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობისთვის არ არსებობს სახელმძღვანელო პრინციპები ან სხვა საინფორმაციო რესურსები აკადემიურ საბჭოში სტუდენტი წევრების დანიშვნის პროცესთან დაკავშირებით. შედეგად, სტუდენტები არ არიან ადეკვატურად ინფორმირებულნი მათი უფლებამოსილებისა და მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ.

აკადემიური საბჭოს ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქციაა უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხილვა, ასევე სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის შედეგების დამტკიცება. თუმცა, საბჭოს წევრებთან გასაუბრებებმა ვერ დაადასტურა მათი ეფექტური ჩართულობა ამ ფუნქციების შესრულებაში (იხილეთ რეკომენდაცია 1.2 სტრატეგიასთან დაკავშირებული პროგრესის აღსრულების შესახებ).

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ მაღალი თანამდებობის მქონე პირს უკავია რამდენიმე ადმინისტრაციული პოზიცია. მაგალითად, რექტორის მოადგილეები შესაძლოა იმავდროულად იკავებდნენ დეკანის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობას, ხოლო აკადემიურ სკოლებში ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორები პარალელურად ასრულებდნენ დეკანის მოადგილის მოვალეობებს. გასაუბრებების დროს ეს მრავალფუნქციური როლები ახსენეს როგორც სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ხარისხზე აქცენტირების გაძლიერებას უნივერსიტეტის ფუნქციონირების ყველა დონეზე, პერსონალის პროდუქტიულობის ოპტიმიზაციას და თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდას. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა აღნიშნა პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების არსებობა.

უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში პერსონალის დანიშვნის ან არჩევის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და შეესაბამება კანონმდებლობას. უნივერსიტეტში არის ამ დანიშვნების დეტალური და სისტემატიზებული მონაცემთა ბაზა. გასაუბრებების დროს უნივერსიტეტის სხვადასხვა იერარქიული დონის წარმომადგენლებმა გამოავლინეს მაღალი ნდობის ხარისხი დასაქმების პროცედურების მიმართ. გრუნი- ს შემუშავებული აქვს კომპლექსური გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი ოპერაციული პროცესების უწყვეტობას. აღნიშნული გეგმა მოიცავს პოტენციური რისკების იდენტიფიკაციას, პრევენციულ მექანიზმებს და, საჭიროების შემთხვევაში, რისკების შემცირების სტრატეგიებს.

ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს, რომ გრუნი- ის მისია და სტრატეგიული მიზნები, ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, ხელს უწყობს ინსტიტუციის საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. უნივერსიტეტი წარმატებით ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას, განსაკუთრებით სამედიცინო მიმართულებით. გრუნი- მ შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და აქტიურად უჭერს მხარს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა გააფორმა 79 ურთიერთგაგების მემორანდუმი საერთაშორისო უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან. გრუნი გეგმავს ინტერნაციონალიზაციის აქტივობების განხორციელებას როგორც აკადემიურ, ისე კლასგარეშე სფეროებში. ეს მოიცავს სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო მობილობას, მონაწილეობას ერასმუსის პროგრამებში, გაცვლით პროგრამებს, სტაჟირებას უცხოურ ორგანიზაციებში, სამეცნიერო კონფერენციებს, სასწავლო ტურებს და სამუშაო ვიზიტებს ევროპულ და სხვა საერთაშორისო ინსტიტუციებში. შესაბამისად, გრუნი- ის ინტერნაციონალიზაციის მიზნები კომპლექსურად არის განვითარებული და ეფექტურად ხორციელდება უნივერსიტეტის ინსტიტუციურ კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

• უნივერსიტეტის სტრუქტურა, ბათუმის ოფისის სტრუქტურა • დებულება განათლების რეგულირების შესახებ • აკადემიური კომიტეტის დებულება • ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა • უცხოელი სტუდენტებისა და პერსონალის მოზიდვის მექანიზმები • ინტერნაციონალიზაციის პროცესის სტატისტიკური მონაცემები • გრუნი-ს ვებგვერდი; • გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები • რეკომენდებულია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და გამჭვირვალობა აკადემიურ კომიტეტში სტუდენტური წარმომადგენლობის დანიშვნის პროცედურებთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს, რომ ყველა სტუდენტი ადეკვატურად ინფორმირებულია მათი უფლებამოსილებისა და მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ. • რეკომენდებულია სტუდენტური თვითმმართველობის სრული ავტონომიის უზრუნველყოფა.
რჩევები • სასურველია მოხდეს იმ მაღალი თანამდებობის მქონე თანამშრომლების სამუშაო დატვირთვის რეგულარული შეფასება, რომლებიც რამდენიმე ადმინისტრაციულ თანამდებობას იკავებენ, იმის დასადგენად ზედმეტად დატვირთულები ხომ არ არიან. • სასურველია რექტორის მოადგილის დაქვემდებარებაში მოექცეს შესაბამისი დეპარტამენტები უცხოელი სტუდენტების მიღების მიმართულებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ○ უსდ- ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი: "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გრუნი- ს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა. სისტემა მუშაობს PDCA ციკლის პრინციპით: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და განვითარება. გრუნი- მ შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, სისტემატურად ახორციელებს სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასებას და აქტიურად ავრცელებს მრავალმხრივი გამოკითხვების შედეგებს. მიუხედავად ამისა, საუნივერსიტეტო პროცესების ეფექტიანობის შეფასებისას გამოვლინდა გარკვეული ზედმეტი დამოკიდებულება ლიკერტის სკალის ტიპის

მონაცემებზე, კონკრეტული ერთეულის ან პროცესის ეფექტიანობის საერთო საშუალო მაჩვენებლის გენერირების მიზნით. რიგობითი მონაცემების ამგვარი საშუალო დამუშავება მათემატიკურად არაკორექტულია და პოტენციურად შესაძლოა დაფაროს მნიშვნელოვანი უკმაყოფილების ფაქტორები პასუხების განაწილების მასკირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრაქტიკა არ არის უნივერსალური და მრავალ შემთხვევაში ხდება სრული განაწილების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კვლევის მონაცემთა ინტერპრეტაციისა და ანგარიშგების სტანდარტიზებული პროცედურა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აწარმოებს მნიშვნელოვანი მოცულობის მონაცემებს. ამ სფეროში დიგიტალიზაციის გაძლიერება გაზრდის პროცესის ეფექტიანობასა და ეფექტურობას.

უნივერსიტეტი გამოყოფს ადეკვატურ რესურსებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტური რეალიზაციის მხარდასაჭერად, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების საქმიანობისა და რესურსების მუდმივ შეფასებასა და განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სისტემებისა და პროცესების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის საინფორმაციო- საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ICT) მხარდაჭერა ორგანიზაციაში ეფექტურად არის კოორდინირებული. კონკრეტულად, ელექტრონული სწავლების პლატფორმა „Nexus“ უზრუნველყოფს სტუდენტებს მათი აკადემიური პროგრესის შესახებ ინფორმაციით და ამარტივებს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის კომუნიკაციის ეფექტიანობას.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დასახული მიზნების მისაღწევად, თანამშრომლობს უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. პერსონალთან ხარისხის კულტურის განხილვისას, იგი ძირითადად აღწერს როგორც უნივერსიტეტის ყოველდღიური მუშაობის განუყოფელი კომპონენტი და მიიჩნევს პროცესში ჩართული ყველა პირის პასუხისმგებლობად.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება დადგენილ მეთოდოლოგიასა და ინსტიტუციურ მახასიათებლებს. „სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის“ შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების რესურსების შეფასების საფუძველზე, უნივერსიტეტმა გამოთვალა სტუდენტთა ოპტიმალური რაოდენობა, რომელსაც იგი ეფექტიანად და ეფექტურად მოემსახურება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. გრუნი- ს ამჟამინდელი სტუდენტური კვოტა შეადგენს 3920- ს. რევეტორიზაციის მიზნით, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ამ კვოტის გაზრდას 4900- მდე (მათ შორის 700 სტუდენტი ბათუმის კამპუსში). უნივერსიტეტმა წარმოადგინა სტუდენტური კონტინგენტის კალკულაცია; თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეაფასა დინამიკა, რადგან წარმოდგენილი იყო მხოლოდ პროგრამების მიხედვით სტუდენტების მოთხოვნილი რაოდენობა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვა განხორციელდეს ყოველწლიურად და წარმოდგენილ ცხრილში ასახული იყოს დეტალური ინფორმაცია, სტუდენტთა ჩარიცხვისა და პროგრამების დასრულების ინდიკატორების ჩათვლით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია არ მოიცავს ინფორმაციას სტუდენტური კონტინგენტის მონიტორინგის პროცედურების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა არცერთი არ იქნა მოწოდებული, რის საფუძველზეც ჯგუფმა დაასკვნა, რომ დამატებითი ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად ატარებს მონიტორინგს და უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელებისა და სხვა რელევანტური სტრუქტურული ერთეულების ჩართულობას სტუდენტური კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

○ სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგები ○ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი ○ გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები: • სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმარებისას რეკომენდებულია სრულყოფილი მონაცემების დამუშავება და ეფექტური გამოყენება.
რჩევები: • სასურველია ლიკერტის სკალის მონაცემთა ანალიზის საშუალო მაჩვენებლების გამოყენების მიზნით შეწყვეტა. • სასურველია დაინერგოს სრულად დიგიტალიზებული პროცესები კვლევითი მონაცემების პრეზენტაციის, ინტერპრეტაციისა და ანგარიშების მიზნებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი ადგენს ფუნდამენტურ პრინციპებსა და ეთიკურ სტანდარტებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა როგორც პერსონალის, ისე სტუდენტების მიერ. რესპონდენტებმა დაადასტურეს კოდექსის გააზრება და მისი საჯარო ხელმისაწვდომობა. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაადგინა, რომ კოდექსი უნივერსალურად ვრცელდება ყველა სუბიექტზე, რექტორის ჩათვლით. უნივერსიტეტმა დანერგა პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმები. "პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის, მასზე რეაგირებისა და აღმოფხვრის პროცედურებისა და მექანიზმების" დოკუმენტი მოიცავს პლაგიატის დეფინიციას, ინფორმაციას ციტირებისა და რეფერირების შესახებ, დაწესებულების მიერ დარღვევის გამოვლენისა და სანქცირებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების აღწერას და სანქციებს, რომლებიც გამოიყენება პლაგიატის ფაქტის დადასტურებისას. ეს პროცედურები ვრცელდება როგორც პერსონალზე, ასევე სტუდენტებზე. სტუდენტებმა და პერსონალმა დაადასტურეს, რომ სტუდენტური ნაშრომები, მათ შორის ესეები, თეზისები და დისერტაციები, შესაძლებლობის ფარგლებში, ციფრულად მოწმდება პლაგიატზე. მათ ასევე აღნიშნეს, რომ გაიარეს ტრენინგი პლაგიატის, მისი პრევენციისა და აღმოჩენის

საკითხებზე. პროგრამა ადგენს "მსგავსების კოეფიციენტს". ზოგიერთმა თანამშრომელმა და სტუდენტმა მიუთითა, რომ 12% ან მეტი კვალიფიცირდება როგორც პლაგიატი. ეს გულისხმობს, რომ 11% არ მიიჩნევა პლაგიატად, რაც მოკლებულია ლოგიკურ საფუძველს. შედეგად, უნივერსიტეტმა შესაძლოა ჩათვალოს დარღვეული აკადემიური კეთილსინდისიერების მქონე სტუდენტური ნაშრომები. მსგავსების კოეფიციენტების ამგვარი გამოყენება, უდავოდ, არ უწყობს ხელს პლაგიატის ეფექტურ აღმოჩენას და, შესაბამისად, არ იცავს უნივერსიტეტის ღირებულებებს. უნივერსიტეტი ასევე ატარებს ტრენინგებს ხელოვნური ინტელექტის (AI) საკითხებზე. თუმცა, როგორც ჩანს, ინსტიტუცია არ აფასებს AI-ის გამოყენების პოტენციურ მასშტაბსა და AI ინსტრუმენტების ევოლუციას, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს სტუდენტთა და პერსონალის ნაშრომების კეთილსინდისიერებას. რეკომენდებულია AI-ით გამოწვეული პოტენციური საფრთხეებისგან დაცვის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა. თვითშეფასების ანგარიშმა და უმაღლესმა ხელმძღვანელობამ დაადასტურა უნივერსიტეტის ერთგულება აკადემიური თავისუფლებისადმი, რაც ასევე დაადასტურეს აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა და სტუდენტებმა. პერსონალი აცნობიერებს და იზიარებს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს; აკადემიური თავისუფლების პოლიტიკა ფართოდ არის გავრცელებული; და აკადემიური პროცესი ეფუძნება აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ეთიკის კოდექსი ○ პლაგიატის გამოვლენის, მასზე რეაგირებისა და გამკლავების პროცედურები და მექანიზმები, პრევენციის ღონისძიებების ჩათვლით ○ პლაგიატის გამოვლენის ელექტრონული პროგრამა ○ უნივერსიტეტის ვებსაიტი ○ გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან ○ თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები
რჩევები • სასურველია პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის გონივრული გამოყენება (მსგავსების პროცენტული მაჩვენებლის გამოყენების გარეშე) სტუდენტის ნაშრომის პლაგიატზე შესამოწმებლად და ამ ცვლილების ეფექტური კომუნიკაცია პერსონალსა და სტუდენტებთან. • სასურველია მექანიზმების შემუშავება ხელოვნური ინტელექტისგან წარმოქმნილი პოტენციური რისკების დასაცავად.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ინსტიტუციის მიზანია კვლევაზე დაფუძნებული და სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების თაობები ჰუმანიტარულ, სოციალურ, მენეჯმენტის, სამედიცინო და სხვა მოთხოვნად სფეროებში. ამ მიზნის რეალიზაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, განხორციელებისა და გაუქმების პროცედურები და წესები რეგულირდება რექტორის ბრძანებით დადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტით. პროგრამების სტრუქტურა სტანდარტიზებულია მიღებული დესკრიპტული პარამეტრების მიხედვით და იყოფა სამ ძირითად კომპონენტად: კონცეპტუალური კონტექსტური ბლოკი, მატრიცული ბლოკი და ფუნქციური ბლოკი, რომელიც მოიცავს როგორც სავალდებულო, ისე არჩევით კურსებს, რომლებიც წარმოადგენს პროგრამის კურიკულუმის ინტეგრალურ ნაწილს. ეს რეგულირებული მიდგომა და გამჭვირვალე და უნიფიცირებული სტრუქტურა ამარტივებს პროგრამების გამხილვისა და ადეკვატური ხარისხის უზრუნველყოფის პროცესს.

გრუნი-ს აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლა (6 ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა; ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შეწყდება 2024 წელს); მედიცინის სკოლა (2 პროგრამა: სტომატოლოგია (ქართულენოვანი) და დიპლომირებული მედიკოსი (ინგლისურენოვანი)); სამართლის სკოლა (3 პროგრამა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, სრულად ქართულ ენაზე); საჯარო ადმინისტრირებისა და პოლიტიკის სკოლა (3 პროგრამა: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, სრულად ქართულ ენაზე); სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა (2 საბაკალავრო, 2 სამაგისტრო და 1 სადოქტორო პროგრამა, სრულად ქართულ ენაზე). პროგრამების კატალოგი ხელმისაწვდომია ონლაინ www.gruni.edu.ge/footer_content/index/232/1442825820.

თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მკაფიო პოლიტიკა; ეს კარგად სტრუქტურირებული პროცესი ეფუძნება ბაზრის კვლევას, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს და გრუნი-ის მისიასთან თავსებადობას.

ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ დამსაქმებელთა მნიშვნელოვან ნაწილს, ორგანიზაციების დაახლოებით 50%-ს, სურს დაასაქმოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ბაკალავრის ხარისხით; დაახლოებით 28% უპირატესობას ანიჭებს მაგისტრის ხარისხის მქონე კურსდამთავრებულებს, ხოლო გაცილებით ნაკლებია მოთხოვნა უფრო მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრებზე, როგორცაა დოქტორის ხარისხი, რომელთა მიმართ ინტერესი 1%-ზე ნაკლებში ფიქსირდება. გარდა ამისა, გამოკითხულთა დაახლოებით 20% მზადაა დაასაქმოს ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირი.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დაახლოებით 84% მიიჩნევდა, რომ პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნითა და უნარებით კონკურენტუნარიანია შრომის ბაზარზე. როგორც ზემოაღნიშნული ცხადყოფს, გრუნი- ს მეთოდოლოგია მოიცავს სტატისტიკური ანალიზის ინტენსიურ გამოყენებას (ხშირად ათეულების სიზუსტით დამრგვალებული პროცენტული მაჩვენებლებით) არგუმენტაციის გასამყარებლად. თუმცა, ეს სტატისტიკური მონაცემები სიფრთხილეს მოითხოვს. ერთი მხრივ, მტკიცებულებები მიუთითებს, რომ გრუნი სისტემატურად ახორციელებს შრომის ბაზრის ანალიზს კურიკულუმის შემუშავების მიზნით. მეორე მხრივ, ხაზგასასმელია, რომ ეს ყოვლისმომცველი მეთოდოლოგიით მიღებული შედეგები არ იძლევა დიფერენცირებულ ინფორმაციას გრუნი- ს სტუდენტთა შესახებ, რომლებმაც სხვადასხვა სკოლები დაამთავრეს. ეს ჰომოგენური სტატისტიკური მიდგომა გადახედვას საჭიროებს: მონაცემები უნდა დაიყოს იმდენ ფაქტორად, რამდენიც სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, განვითარება, განხორციელება და შეწყვეტა ექვემდებარება PDCA (Plan- Do- Check- Act) ციკლს (იხ. სექცია 2.2), რომელიც ეფუძნება პროგრამის პერსონალის, პროფესიული ასოციაციების, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირს და შრომის ბაზრის კვლევას. ეს მეთოდოლოგია წარმოადგენს ვალიდურ და ფართოდ აღიარებულ მიდგომას, თუმცა ზემოხსენებული კრიტიკული შენიშვნა ასევე რელევანტურია უკუკავშირის სტატისტიკური ანალიზისთვის, რომლებიც აჩვენებს კურსდამთავრებულთა დასაქმების სექტორულ განაწილებას (მაგ., "ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება (27.13%), ფინანსები და საბანკო საქმე (13.30%), მარკეტინგი/PR (11.70%) და ადმინისტრაცია და იურიპრუდენცია (9.57%)"). ეს მიდგომა ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ მაჩვენებელს ცალკეული ფაკულტეტის ეფექტიანობის შესაფასებლად. აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ შედარებითი ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს, მინიმუმ აკადემიური ერთეულების მიხედვით (n=5), თითოეული ინდივიდუალური პროგრამისთვის განათლების სხვადასხვა საფეხურზე (n=19), და პოტენციურად სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

თვითშეფასების ანგარიშის პარალელურად, უნივერსიტეტის ვებ- პორტალი (www.gruni.edu.ge) უზრუნველყოფს სრულ ინფორმაციას სხვადასხვა ასპექტის შესახებ: არსებული საგანმანათლებლო პროგრამები (პროგრამების კატალოგი), კურიკულუმები, იმ შესაბამისი სკოლის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობს პროგრამას, და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციები. ფართო აუდიტორიისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ვებ- პორტალი სისტემატურად ანახლებს ინფორმაციას უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების შესახებ, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენებზე. გარდა ამისა, პორტალი მოიცავს ბმულებს რეგულაციებსა და გაიდლაინებთან, რომლებიც უკავშირდება უნივერსიტეტის ძირითად ფუნქციებს.

გრუნი- მ შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის კომპლექსური ინსტიტუციური სისტემა. ეს სისტემა მოიცავს პროგრამულ კომიტეტს, რომელიც შედგება პროგრამის წამყვანი აკადემიური პერსონალისგან, და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტს, რომელშიც შედიან დასაქმებული კურსდამთავრებულები და რელევანტური პროფილური ორგანიზაციების წარმომადგენლები. მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტის ფუნქციონირება, უდავოდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მისი ფუნქციონირება, კომპეტენციები და სამოქმედო გეგმა არ იყო საკმარისად გასაგები ჯგუფისთვის და არც გარე დაინტერესებული მხარეებისა და უნივერსიტეტის გამოკითხული წევრებისთვის იყო ადეკვატურად გააზრებული. გარდა ამისა, პროგრამის ნებისმიერი მოდიფიკაცია მოითხოვს არა მხოლოდ პროგრამული კომიტეტის მიერ განხილვასა და დადასტურებას, არამედ საჭიროებს თანამშრომლობას მრავალ სხვა აქტორთან და დაინტერესებულ მხარესთან. ეს მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით: აკადემიური და

მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, ბათუმის ფილიალის წარმომადგენლები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის წევრები, პროფესიული ასოციაციების წარმომადგენლები, აკადემიური სკოლა (დეკანის მეშვეობით), ბიბლიოთეკა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ცენტრი, ადამიანური რესურსების მართვის ცენტრი, საერთაშორისო ინტეგრაციის ცენტრი, ფინანსური სამსახური, სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევების ცენტრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, აკადემიური საბჭო, რექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში და რექტორის სხვა მოადგილეები. ამ მრავალფეროვანი ორგანოების ჩართულობა და კოორდინაცია უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და ინტეგრირებულ მიდგომას საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და დახვეწისადმი. თუმცა, ამ კონტექსტში, უფრო მარტივი, გამჭვირვალე და პირდაპირი მიდგომის („ვინ, რა, როდის“) განხორციელება უფრო ეფექტური იქნებოდა (რადგან, როგორც ანდაზა გვეუბნება, “ორ ძიძას შუა ბავშვი დაიხრჩო”).

საანგარიშო პერიოდში გრუნი- ის საგანმანათლებლო პროგრამებმა განიცადა სხვადასხვა მასშტაბის ცვლილებები, რომლებიც დეტალურადაა წარმოდგენილი თითოეული სკოლის თვითშეფასების ანგარიშში. დანართებში წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ეს ცვლილებები ძალაშია და უნივერსიტეტი მათ იყენებს თავის აკადემიურ პრაქტიკაში.

საგანმანათლებლო პროგრამების გაუქმების წესები და პროცედურები ასევე რეგულირდება უნივერსიტეტის ნორმატიული აქტებით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, უნივერსიტეტი ახორციელებს საკონსულტაციო პროცესს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან (NCEQE) და პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რათა ხელი შეუწყოს დაზარალებული სტუდენტების გადასვლას მსგავს საგანმანათლებლო პროგრამებზე. სტუდენტთა გადასვლის შედეგად წარმოქმნილი ფინანსური საკითხები რეგულირდება ჩართულ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტუდენტთა რეგისტრაციის ცენტრი ვალდებულია რელევანტური ინფორმაცია მიაწოდოს როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს, ასევე უნივერსიტეტს. ასეთ შემთხვევებში, ან შიდა მობილობის დროს, სხვადასხვა კურიკულუმის კომპონენტების შედარება და კოორდინაცია ხორციელდება პროგრამის ხელმძღვანელების მიერ, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორთან შეთანხმებით. ამ პროცესს ხელმძღვანელობს შესაბამისი პოლიტიკა; პროგრამების სილაბუსები გამოიყენება ეკვივალენტურობის დასადგენად და, თუ საჭიროა, ცვლილებების შესატანად. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ამ აზზაცში თვითშეფასების ანგარიში მიუთითებს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრზე, რაც სავარაუდოდ, არაზუსტია, ვინაიდან რელევანტური ორგანო არის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS).

ჯანდაცვის მეცნიერების პროგრამები პასუხობს ქართული საზოგადოების საჭიროებებს და ხელს უწყობს სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას. სამედიცინო კურიკულუმში ექსპლიციტურად მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებების, კლინიკური მეცნიერებებისა და უნარების, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ფუნდამენტურ კომპონენტებს და უზრუნველყოფს კლინიკური და პროფესიული კომპეტენციების შეძენის შესაძლებლობას. დიზაინისა და განვითარების თვალსაზრისით, გრუნი- მ განახორციელა წინა აკრედიტაციის ანგარიშის რეკომენდაციები. კერძოდ, პროგრამა მოვიდა უმაღლესი სამედიცინო განათლების განახლებულ დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობაში; ქართული ენის სწავლების მოცულობა გაიზარდა; ხოლო სამეცნიერო კვლევისა და კლინიკური უნარების განვითარების კომპონენტები გაძლიერდა დამაკმაყოფილებელ დონემდე.

გასაუბრებებმა ცხადყო, რომ დაინტერესებული მხარეები, მათ შორის სტუდენტები და დამსაქმებლები, აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამის შეფასების პროცესში. მათ გააზრებული

ჰქონდათ საკუთარი როლი და პროცედურაში მათი ჩართულობის მნიშვნელობა, ასევე ფლობდნენ საკმარის ინფორმაციას უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის შესახებ. მიუხედავად ამისა, დაინტერესებული მხარეების ამჟამინდელი პერსპექტივა შედარებით შეზღუდულია და არსებობს უნივერსიტეტის მნიშვნელოვანი მიღწევების უფრო ფართო სპექტრზე გადაყვანის პოტენციალი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან • თვითშეფასების ანგარიში • თვითშეფასების ანგარიშის დანართები
რეკომენდაციები • რეკომენდებულია უნივერსიტეტის მიერ დამუშავებული სტუდენტებთან დაკავშირებული ყველა სტატისტიკური მონაცემის ანალიზი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, როგორცაა სტუდენტის სქესი, პროგრამა და სწავლების ლოკაცია. • რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამების შედეგებისა და სამომავლო გეგმების გაცნობა გარე დაინტერესებული მხარეებისთვის, როგორცაა მარეგულირებელი ორგანოები, ჯანდაცვის დაწესებულებები, სამეცნიერო საზოგადოებები, კვლევითი ინსტიტუტები, კურსდამთავრებულები, ფარმაცევტული და სხვა ინდუსტრიული კომპანიები.
რჩევები • სასურველია პროგრამის მართვისთვის შექმნილი პროგრამული კომიტეტის როლის, ამოცანებისა და კომპეტენციების მკაფიო განმარტება და რეგულირება.
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი ○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი: გრუნი არის მულტიდისციპლინარული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც შედგება ხუთი სკოლისგან, თითოეული მათგანი ხასიათდება უნიკალური პროფილითა და თვისებებით. საგანმანათლებლო პროგრამების ადმინისტრირება სამივე აკადემიურ საფეხურზე რეგულირდება ნორმატიული დოკუმენტებით, რომლებიც შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. ეს რეგულაციები ეფუძნება არა მხოლოდ ეროვნულ საკანონმდებლო ბაზას, არამედ საერთაშორისო სტანდარტებს. უნივერსიტეტი მკაცრად იცავს ECTS- ის დირექტივებს

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში. ამ პროგრამებში საგანმანათლებლო და კვლევითი კომპონენტები ინტეგრირებულია დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით, რაც თეორიულად უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევას დადგენილ ვადებში.

სწავლის შედეგები, როგორც პროგრამულ, ისე კურსის დონეზე, ზოგადად ადეკვატური და შეფასებადია. თუმცა, გამოწვევის წარმოადგენს სამედიცინო პროგრამები, სადაც ხშირ შემთხვევაში პროგრამის სწავლის შედეგები შიდა სილაბუსში აღწერილ უნარებს, როგორცაა "ხელის ჰიგიენა" და "ნაკერების დადება". მიუხედავად ამისა, კურსის დონეზე სამედიცინო პროგრამების სწავლის შედეგები უმეტესწილად რელევანტურია, თუმცა არსებობს გამოწვევის საფრთხე, სადაც სწავლის შედეგები არ ექვემდებარება ადეკვატურ შეფასებას, მაგალითად, „სწავლისა და პრაქტიკის პროცესების წარმოება“ [MED176C] და „მულტიკულტურულ გარემოსთან ადაპტაცია“ [MED174C; MED169C]. თანამშრომლებმაც და სტუდენტებმაც დაადასტურეს, რომ სწავლის შედეგები გადაეცემა სტუდენტებს, როგორც წესი, კურსების დაწყებისას. თუმცა, გამოვლინდა სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების არსზე არასათანადო წარმოდგენა: მრავალი მათგანი სწავლის შედეგებს აიგივებდა კურიკულუმის ელემენტებთან ან ქულობრივ შეფასებებთან.

თითოეული პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს მოქნილობას არჩევითი კომპონენტების არჩევისას, რომლებიც შეირჩევა შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამების ჰოლისტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ ამ ასპექტში არ არსებობს განსხვავება ნორმატიულად დადგენილ სტანდარტებსა და უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ პრაქტიკას შორის.

სწავლის შედეგებსა და მიზნებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, უსდ-მ შეიმუშავა კურიკულუმის რუკები. პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ანალიზი, შესაბამის რუკასთან ერთად, გვამდევს სრულ სურათს იმის შესახებ, თუ რამდენად განვითარდებიან მოცემული პროგრამის სტუდენტები შესავალი და გაღრმავებული კურსების განმავლობაში.

ზოგადად, უნივერსიტეტის პროგრამები აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე, ხასიათდება მკაფიოდ განსაზღვრული, სპეციფიკური და გაზომვადი მიზნებით, ხოლო კურიკულუმები მოიცავს ყველა აუცილებელ შინაარსსა და კომპეტენციებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის სისტემატურ და თანმიმდევრულ შეძენას. განსაკუთრებით პოზიტიურ ასპექტად უნდა ჩაითვალოს, რომ რამდენიმე გარე დაინტერესებული მხარე ახლახან ჩაერთო პროგრამების განხილვის პროცესში, რაც მოიცავდა შრომის ბაზრის მოთხოვნების, სწავლის შედეგებისა და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს.

საგანმანათლებლო პროგრამების რეგულაცია მოიცავს აკადემიური კურსების სილაბუსების აღწერასა და რეკომენდებულ ფორმატს (რომელიც მოიცავს შემდეგს: კურსის კოდი, დასათაურება, ლექტორები, კურსის სტატუსი, ECTS კრედიტები (რომელიც ასახავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ სწავლის საათებს), მიღების წინაპირობები, მიზნები, სწავლის შედეგები (კვალიფიკაციათა ჩარჩოსთან შესაბამისობაში), სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სალექციო კალენდარი, შეფასების სისტემა (კომპონენტებისა და მეთოდების მითითებით), სავალდებულო/ძირითადი ლიტერატურა და სხვა დამატებითი სასწავლო რესურსები, აგრეთვე ინფორმაცია აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ). ამ მხრივ, სასწავლო პროცესის მართვა გამჭვირვალეა, გაანალიზებული სილაბუსების შენაარსი ექსპლიციტურად განსაზღვრავს

აქტივობებს, ხოლო სტრუქტურა მოიცავს ყველა სავალდებულო მონაცემსა და რელევანტურ დეტალს.

ანალოგიურად, ჯგუფმა გააანალიზა კონკრეტული მონაცემები, რათა დაედგინა მისანიჭებელი კვალიფიკაციის/ აკადემიური ხარისხის პროგრამის შინაარსთან შესაბამისობა და საგანმანათლებლო და კვლევით კომპონენტებს შორის კრედიტების ადეკვატური განაწილება. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების კრედიტები განაწილებულია უნივერსიტეტში დანერგილი რეგულაციებისა და აპრობირებული პრაქტიკის შესაბამისად. მედიცინის პროგრამის დასრულებისთვის აუცილებელი 360 ECTS კრედიტი თანაბრად ნაწილდება საბაზისო მეცნიერებებს, პრეკლინიკურ და კლინიკურ კურსებს შორის და პროპორციულად ნაწილდება სავალდებულო და არჩევით დისციპლინებზე. ანალოგიურად, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა, რომელიც მოიცავს 300 ECTS კრედიტს, სრულად შეესაბამება დარგის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრირებულია გლობალური უმაღლესი განათლების მოთხოვნები, რაც მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ადამიანის ღირსებისა და უფლებების პატივისცემა, ცხოველთა უფლებების დაცვა (იხილეთ კომენტარები ქვემოთ), სამედიცინო პრაქტიკის იურიდიული, ეკონომიკური და ეთიკური ასპექტების გაცნობიერება, ინტერკულტურული კომპეტენციების აქცენტირება, უნივერსიტეტის წევრებისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, დისკრიმინაციული პრაქტიკის პრევენცია და დივერსიფიკაციის დაფასება. შეფასების პროცესში გაანალიზდა შესაბამისი სფეროს სტანდარტების ფარგლებში შემუშავებული კრიტერიუმები და კვლევითი კომპეტენციის კომპონენტები (მათ შორის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპები, უნარ-ჩვევები და ცოდნა ბიომედიცინის სფეროში, ასევე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სამედიცინო კონტექსტში). ჯგუფი ასკვნის, რომ ჯანდაცვის მეცნიერებათა (მედიცინა და სტომატოლოგია) პროგრამები სრულად აკმაყოფილებს კრიტერიუმებსა და მოლოდინებს ამ მნიშვნელოვან ასპექტშიც.

გრუნნი აღიქვამს ინდივიდუალურად ადაპტირებულ კურიკულუმს, როგორც თითოეული სტუდენტის აკადემიური თავისუფლების რეალურ გამოხატულებას. ამ მიდგომის მიზანია ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა, სტუდენტთა ინტერესების ოპტიმიზაცია და მოტივაციის გაძლიერება. ამ პრინციპების განხორციელებისთვის, უნივერსიტეტი იყენებს Nexus სისტემას სასწავლო პროცესის მართვისთვის. ეს პლატფორმა ეხმარება სტუდენტებს, შეიმუშაონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები მათი ინტერესებისა და პოტენციალის შესაბამისად. აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში Nexus-ი სტუდენტებს სთავაზობს კატეგორიულად დაჯგუფებულ სასწავლო კურსებს, როგორიცაა სავალდებულო ან არჩევითი კურსები. თითოეული კურსი დეტალურადაა აღწერილი დესკრიპტორული პარამეტრების მიხედვით, რომელიც მოიცავს: კურსის დასახელებას, ლექტორს, კრედიტებს, წინაპირობებს, სტუდენტების მინიმალურ და მაქსიმალურ რაოდენობას ჯგუფებში. დამატებით, წარმოდგენილია ინფორმაცია კურსების ვადებისა და ლოკაციების შესახებ, მათ შორის დეტალებს სალექციო აუდიტორიებისა თუ ლაბორატორიების შესახებ. იმ კურსებისთვის, რომლებსაც არ გააჩნიათ წინაპირობები, სისტემა გვთავაზობს მათი დასრულების ოპტიმალურ ვადებს. ამასთან, სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა აირჩიონ კურსები სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით, რომლებთანაც უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს კრედიტების აღიარების ორმხრივი შეთანხმებები შესაბამისი მემორანდუმების ან სხვა კონტრაქტების სახით. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული საინფორმაციო რესურსები ლექტორებისგან, ასევე შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ დისტანციურ ლექციებში, მიიღონ დავალებები და ინდივიდუალური კონსულტაციები, და ელექტრონულად წარადგინონ თავიანთი ნაშრომები შეფასებისთვის. ვიზუალური და აუდიტორული შეზღუდვების მქონე სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია დამატებითი

მხარდამჭერი სერვისები; გარკვეულ აუდიტორიებში ასევე დამონტაჟებულია ადაპტირებული მერხები ფიზიკური შეზღუდვების მქონე სტუდენტებისთვის. ცხოველებზე ექსპერიმენტების კონტექსტში, პროცესის მონიტორინგი, მათ შორის ექსპერიმენტებში გამოყენებული ცხოველების შემდგომი ბედი, წარმოადგენს გლობალური მნიშვნელობის საკითხს, რომელსაც თან ახლავს მნიშვნელოვანი ეთიკური იმპლიკაციები. გრუნის ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, გრუნის- ის სტუდენტებს აჩვენებენ „დაავადებული ცხოველების მკურნალობის სხვადასხვა აპრობირებულ მეთოდოლოგიას“. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის სტანდარტის დოკუმენტის დანართი 2 (მეცნიერული კვლევის ეთიკა) ხსნის „ცხოველთა უფლებებს“ შემდეგნაირად: „აკრძალულია ისეთი ექსპერიმენტის ჩატარება, სადაც ცხოველთა უფლებები არ არის დაცული, რაც იწვევს მათ ფიზიკურ და/ ან ფსიქოლოგიურ ტანჯვას, ან გაუმართლებელ სიკვდილს (ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია 23.09. 1977)". აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ციტირებული „დეკლარაცია“ მოძველებული და გაურკვეველია, მას არ გააჩნია პრაქტიკულობა, იურიდიული ძალა და, რაც მთავარია, არ არის მიღებული არცერთი ოფიციალური საერთაშორისო დაწესებულების მიერ (1978 წელს, UNESCO- ში გაიმართა ე.წ. "ცხოველთა უფლებების საერთაშორისო ლიგის" გამოცხადება). სასურველია, ტერმინი „ცხოველთა უფლებები“ ფორმულირებული იყოს როგორც „ცხოველთა დაცვის კანონები" და შესაბამისი ცვლილებები შევიდეს და განახლდეს სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობის სტანდარტის რელევანტური პუნქტები, რომლებიც ეხება სამეცნიერო ან საგანმანათლებლო პროცესებში ცხოველების გამოყენებასა და დაცვას - დირექტივა 2010/63/EU შეიძლება წარმოადგენდეს ნიმუშს ამ სფეროში სტანდარტიზებული და საერთაშორისოდ აღიარებული მეთოდოლოგიების განხორციელებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • გასაუბრებები დაინტერესებულ მხარეებთან • თვითშეფასების ანგარიში • თვითშეფასების ანგარიშის დანართები
რეკომენდაციები • რეკომენდებულია მედიცინის პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების რევიზია იმგვარად, რომ ისინი ასახავდეს სწავლის შედეგების ინტენციურ ხასიათს და წარმოადგენდეს შეფასებად ერთეულებს. • რეკომენდებულია სტუდენტების ეფექტური ინფორმირება სწავლის შედეგების შესახებ. • რეკომენდებულია ცხოველებზე კვლევების წარმოება კონკრეტული რეგულაციებისა და "სამი R- ის პრინციპის" (Replacement, Reduction, Refinement) დაცვით კვლევისა და ტესტირების პროცესში (დირექტივა 2010/63/EU ადგენს ზომებს სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენებული ცხოველების დასაცავად); გრუნის- ს რეგულაციები და ეთიკის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს ამ პრინციპებს.
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული; სწავლის სფეროების კლასიფიკაცია, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები ნათლად განსაზღვრავს სწავლის შედეგებს, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების კომპლექსური სისტემა, შესაბამისი კომპლექსური მეთოდებით.

შეფასება ციკლური და მიმდინარე პროცესია და გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად. თვითშეფასების მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამები გადის უწყვეტ მონიტორინგს, შეფასება ტარდება სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო ყოველი სემესტრის ბოლოს ტარდება სწავლის შედეგების მიღწევის შუალედური შეფასება. თეორიულად, ეს მეთოდი უზრუნველყოფს პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას. უმაღლესი განათლების მოთხოვნებთან პროგრამების შესაბამისობის შეფასება მოიცავს სწავლის შედეგების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ (სტუდენტთა თვითშეფასება, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები) შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდები/აქტივობები, რომლებიც გამოქვეყნებულია ნომენკლატურულ ფორმატში. თუმცა, თვითშეფასების ამ ნაწილში ნაკლებად იყო მითითებული თუ როგორ ფასდება სწავლის შედეგები. უნივერსიტეტის პერსონალთან გასაუბრებისას ჯგუფმა დაადგინა, რომ სწავლის შედეგები მიიჩნევა მიღწეულად, თუ სტუდენტთა რაოდენობის გარკვეული ნაწილი მას დააკმაყოფილებს. იმის დადგენა, მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგები მთლიანობაში, რთულია და მისი დასრულება უნივერსიტეტს ძალიან ცოტას თუ ეუბნება საკუთარი მიღწევების შესახებ. სწავლის შედეგებთან მიდგომის ასეთი კომპლექსური მეთოდები მთელ რიგ უმაღლესი განათლების სისტემაში არსებობს გლობალურად, მაგრამ უპირატესი მეთოდი გაცილებით მარტივია, რომელიც სწავლის შედეგებს განიხილავს, როგორც ზღვრულ ცნებებს (როგორც თავდაპირველად იყო გამოიყენებული), როგორც კურსის ან პროგრამის შედეგები, რომელიც სტუდენტის მიერ დამღწეულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დააკმაყოფილებს სწავლის ყველა შედეგს. ამგვარად, სწავლის შედეგები აკონკრეტებს მინიმუმ მისაღწევ სტანდარტს.

უნივერსიტეტის რექტორი ამტკიცებს სასწავლო პროცესის დოკუმენტაციას, რომელიც ასახავს სწავლის შედეგების შეფასების ზოგად წესებს. დებულება ადგენს საერთო სტრუქტურას როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასებებისთვის; აყალიბებს აკადემიური ხარისხებისა და დიპლომის კატეგორიების მინიჭების სისტემას, ხოლო სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოყენებული კონკრეტული მეთოდები/აქტივობები და კრიტერიუმები დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში. შეფასების უპირველესი მიზანია ზუსტად განსაზღვროს სტუდენტების სწავლის შედეგები როგორც კურსის, ისე აკადემიური პროგრამის დონეზე. ინდივიდუალური პროგრამა

იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რომელიც მორგებულია სხვადასხვა სფეროსა და სწავლის სტილზე და შეიძლება მოიცავდეს ლექციებს, პრაქტიკულ აქტივობებს, ჯგუფურ მუშაობას და ტექნოლოგიებით გაძლიერებულ სწავლებას სხვა მეთოდებთან ერთად. ამ მიმართულებით, არსებობს მიმდინარე და საბოლოო შეფასების მძლავრი მექანიზმები სტუდენტთა პროგრესისა და მიღწევების შესაფასებლად, რომლებიც მოიცავს განმავითარებელ შეფასებებს (მიმდინარე) და შემაჯამებელ შეფასებებს (კურსის დასასრულს).

შეფასების მეთოდების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს ეცნობება როგორც ელექტრონული, ასევე პირდაპირი საკონტაქტო გზებით. Nexus-ის საშუალებით ხელმისაწვდომია ყველა სასწავლო პროგრამის, სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია. გარდა ამისა, დეკანის საათი, რომელიც ტარდება ყოველთვიურად თითოეულ ჯგუფში, ეხება სტუდენტების ყოველდღიურ საქმიანობას, მათ შორის შიდა რეგულაციებსა და ეთიკურ საკითხებს. ამ შეხვედრებზე ლექტორები განიხილავენ კურიკულუმის ყველა კომპონენტს, მათ შორის სწავლის, სწავლებისა და შეფასების სისტემებს. სტუდენტთა მხარდაჭერის ცენტრი ასევე აწვდის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და მეთოდურ მასალებს.

შეფასების პროცესი მოიცავს უკუკავშირის მექანიზმს, მასწავლებლები ახარისხებენ შეცდომებს და აანალიზებენ ტენდენციებს ჯგუფთან ერთად, ცალკეული სტუდენტების ვინაობის გამხელის გარეშე. Nexus-ის და/ან საგამოცდო რეგულაციების ცალკეული განყოფილების მეშვეობით სტუდენტები ერკვევიან მათი შეცდომების ხასიათში, რაც ეხმარება მათ აკადემიურ პროგრესში.

ზოგადად, შეფასება მოიცავს ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა) (A) - ფრიადი - 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; ც) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) არასაკმარისი შეფასება - 41-50 ქულა მიუთითებს, რომ სტუდენტს დასკვნითი გამოცდის ჩასაბარებლად მეტი შრომა სჭირდება და დამოუკიდებელი მუშაობის საფუძველზე დაიშვება ფინალურ გამოცდაზე; (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ქვემოთ მიუთითებს, რომ სამუშაო არასაკმარისია და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი. FX შეფასებით სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს ერთ დამატებითი გამოცდაზე იმავე სემესტრში დასკვნითი გამოცდიდან არა უადრეს 5 დღისა და წარუმატებლობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა გაიმეოროს მთელი აკადემიური კურსი. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა, რომ სტუდენტების შეფასებისას გამოიყენება მხოლოდ კრიტერიუმზე-ორიენტირებული შეფასება, ზოგიერთი ნორმაზე-ორიენტირებული შეფასება კვლავ ადგილზე რჩება, სადაც სტუდენტების გარკვეულ ნაწილს ენიჭება კონკრეტული შეფასება, მიუხედავად იმისა, როგორი იყო მათ მიერ შესრულებული საქმიანობა. ეს ნიშნავს, რომ სტუდენტის შეფასებები დამოკიდებულია არა მხოლოდ მის მოსწრებაზე, არამედ იმავე ჯგუფის სხვა სტუდენტების მუშაობაზეც. ეს თავიდან უნდა იქნას აცილებული.

სტუდენტებს უფლება აქვთ განსაზღვრულ ვადაში დეკანს წარუდგინონ შეფასების გასაჩივრების დასაბუთებული მიმართვა. შემდეგ აპელაციას განიხილავს დროებითი კომიტეტი, რომელიც შექმნილია დეკანის მიერ და შედგება მინიმუმ სამი წევრისაგან. დეკანის შეხედულებისამებრ, ან სტუდენტის მოთხოვნით, კომიტეტში შეიძლება დაინიშნოს მოწვეული ექსპერტი (საკვალიფიკაციო ნაშრომის შემთხვევაში). კომიტეტი განიხილავს აპელაციას სილაბუსით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. მოთხოვნის დაკმაყოფილების ან უარყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, მაგრამ გადაწყვეტილებები, რომლებიც გააუარესებს სტუდენტის შეფასებას, კატეგორიულად აკრძალულია.

ჯანდაცვის პროგრამების შემთხვევაში სწავლის შედეგები რეგულარული გადაიხედება სამედიცინო სკოლისა და სტომატოლოგიის სკოლის საბაზისო, პრეკლინიკური და კლინიკური საგნების ფარგლებში. კარგი პრაქტიკის ფარგლებში, სტომატოლოგიის სტუდენტები სწავლებას გადიან უნივერსიტეტის საგანმანათლებლო-კვლევით და კლინიკურ ცენტრში „გრუნივერსში“, თანამედროვე კლინიკურ დაწესებულებაში, რომელიც აღჭურვილია უახლესი სიმულაციური ტექნოლოგიებით, სასწავლო რესურსებითა და აღჭურვილობით პროგრამის სრულყოფილი და ეფექტური განხორციელებისთვის, ხოლო მედიცინის სტუდენტებს აქვთ თავისუფალი წვდომა უნივერსიტეტის დამოუკიდებელი კლინიკური უნარების ცენტრზე, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე დაბალი და მაღალი სიზუსტის სიმულაციური ტექნოლოგიებითა და საშუალებებით. შეფასების მეთოდები, როგორიცაა (იხ. განყოფილება 3.2): ესეები, შემთხვევის/სიტუაციის საფუძველზე დაფუძნებული დავალებები, ვიქტორინები/ტესტები/კომბინირებული ტესტები/კითხვრები, კლინიკური, ინსტრუმენტული და ლაბორატორიული მონაცემების ანალიზი, პრაქტიკული/კლინიკური უნარების დემონსტრირება, კლინიკური მსჯელობა/შემთხვევის ანალიზი, მინი-კლინიკური სავარჯიშოს შეფასება (Mini-CEX) და ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები (OSCEs), სათანადოდ აკმაყოფილებს მიზნებს და სწავლის შედეგებს. დამატებითი დეტალები ამ თემაზე მოცემულია მეანობა-გინეკოლოგიის (MED164C) სილაბუსში. აღწერილობის მიხედვით „ინტეგრირებული OSCE შედეგა 12 სადგურისაგან (10 აქტიური და 2 დანარჩენი) და ტარდება თავად მეანობა-გინეკოლოგიის კურსში (ორი სადგური: „მენჯის გამოკვლევა“, „გინეკოლოგიური სპეკულუმის ჩასმა“), პედიატრიული კლინიკური უნარების კურსი (MED161C) (ექვსი სადგური: „ძირითადი ანთროპომეტრიული მონაცემების შეფასება“, „ნაზოგასტრიკული ინტუბაცია“, „ინექცია კუნთში; კანქვეშა ინექცია“, „სასუნთქი გზებიდან უცხო სხეულის მოცილება“, „ახალშობილის შეფასება“, „პირველადი დახმარება ცხვირიდან სისხლდენის დროს“) და ენდოკრინოლოგიის კურსზე (MED158C) 2 სადგურით. თუმცა, OSCE როგორც ვარიანტი, არ არის აღიარებული ენდოკრინოლოგიის კურსის კურიკულუმში, სადაც როგორც შუალედური, ასევე საბოლოო შეფასებები განისაზღვრება როგორც „ტესტები“.

OSCE-ზე დაფუძნებული შეფასების, მათ შორის შუალედური შეფასების აქტივობების დანერგვა დაწყებულია (როგორც ეს აღწერილია აკრედიტაციის საბჭოს წინა რეკომენდაციებში), და ეს უნდა გავრცელდეს შემდგომ კურსებზე და პრაქტიკულ კლინიკურ საგნებზე (მაგალითად, MED168C ანესთეზიოლოგია CPR-ის სიტყვიერი პრეზენტაციით და დეფიბრილაციის ტექნიკით და MED129C ტოპოგრაფიული ანატომია, ე.წ. par excellence (საუკეთესო) პრაქტიკული საგანი, სადაც საბოლოო შეფასება არის ორსაათიანი ტესტი).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიშის სხვადასხვა დანართები

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია ნორმაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის გაუქმება და მხოლოდ კრიტერიუმზე დაფუძნებული შეფასების იმპლემენტაცია, რათა ინდივიდუალური სტუდენტის ქულები მხოლოდ მის მოსწრებაზე იყოს დამოკიდებული.
- რეკომენდებულია ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდების (OSCE) გამოყენება კლინიკურად შესაბამისი კომპეტენციების შესაფასებლად, პრაქტიკული კლინიკური მომზადების სტანდარტების გამოსაკვეთად.

რჩევები

- სასურველია, მიღებულ იქნას აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკა, რომ სწავლის შედეგები შეფასებული იქნას როგორც ზღვრული ცნებები.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

4. უსდ-ის პერსონალი

- პოსტდოქტორანტურის პროექტები. უნივერსიტეტს აქვს პოსტდოქტორანტურის კვლევითი ინსტიტუტი (მაგრამ იხილეთ 6.2), როგორც გრუნი-ში ნიჭიერი კადრების მოსაზიდი ინსტრუმენტი. დაფინანსებული აქტივობები მოიცავდა კვლევით ვიზიტს ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში.

სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრი მართავს პერსონალის ყოველწლიურ დაჯილდოებას მათი კვლევის შედეგების საფუძველზე. ის ასევე აწყობს ტრენინგებს გრუნი-ს თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის, რომლებიც ძირითადად ფოკუსირებულია კვლევით უნარებზე და ახალგაზრდა მკვლევართა მხარდაჭერაზე. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით იგი ახორციელებს შემდეგ პროექტებს: საერთაშორისო ახალგაზრდული ლიდერობის სასერთიფიკატო პროგრამა, კვლევითი სტატიების გამოქვეყნება უცხოელ პარტნიორებთან ერთად, „სოფლის მეურნეობის მდგრადობის გაძლიერება ჰოლისტური სტრატეგიით (EARTH)“ მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ახალი კვლევები და ღონისძიებები მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან (WEF) ერთად.

კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისთვის, გრუნი ასევე თანამშრომლობს საქართველოში დაფუძნებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და მრავალ ორგანოსთან, როგორიცაა DAAD ოფისი და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. უნივერსიტეტი ასევე მონაწილეობს ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია მთავრობისთვის რეკომენდაციების მიწოდებაზე სხვადასხვა აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით, რომლის მაგალითია ანტიკორიზისული და პოსტკრიზისული სამთავრობო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა.

გრუნის ციტირების ინდექსი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 548-ჯერ გაიზარდა (26-დან 14259-მდე). ციტირების 90%-ზე მეტი მოდის SCOPUS-ზე (13354 ციტირება) და 40%-ზე მეტი Web of Science-დან (6060 ციტირება). გრუნის აფილირებული პროფესორების საერთო ციტირების ინდექსი 26-ჯერ აღემატება არააფილირებული პროფესორების მაჩვენებელს, კერძოდ 13740 ციტირება 519-თან მიმართებით. მოცემულ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი სამეცნიერო აქტივობების საერთო რაოდენობა შეადგენს 1665-ს, რაც წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით (812 ერთეული) 2,05-ჯერ მეტია. მართალია ეს იმას ნიშნავს, რომ გრუნი-ს პერსონალის შრომების ციტირება ხდება, ეს არ არის კვლევის შედეგების ხარისხის პირდაპირი საზომი და კოეფიციენტი 548 მხოლოდ წინა საანგარიშო პერიოდში დაბალი საბაზისო მონაცემების ჩვენებას ემსახურება. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფისთვის ცხადია, რომ გრუნი სერიოზულად ეკიდება კვლევას და დიდ პროგრესს მიაღწია ამ კუთხით, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით კვლევის სანდოობის სათანადო დონის მისაღწევად კიდევ მეტია გასაკეთებელი. უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ ყველა კვლევითი ნაშრომი მიმართული იყოს მაღალი რანგის საერთაშორისო ჟურნალებზე: ამჟამად წარმოებული ბევრი შრომა მხოლოდ ადგილობრივ ან რეგიონულ ჟურნალებშია გამოქვეყნებული. ანალოგიურად, იზრდება გარე გრანტებისგან მიღებული შემოსავლები, რაც ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული. ასევე, კონფერენციები, რომლებსაც ესწრებიან, ძირითადად ადგილობრივია, სასურველია გრუნი ეცადოს უფრო თანმიმდევრულად დაიმკვიდროს ადგილი უფრო დიდ გლობალურ არენაზე. გრუნი-მ არ უნდა დაივიწყოს თავისი ფესვები, მაგრამ საერთაშორისო სანდოობის მისაღწევად, მან უნდა გააფართოოს თავისი კვლევის ჰორიზონტები; ეს ასევე შეესაბამება მის გეგმებს ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. გარკვეულწილად, ეს ნიშნავს ადგილობრივიდან გლობალურზე ფოკუსირებას, მაგრამ არა მიმართულების შეცვლას.

სადოქტორო სწავლების ხელმძღვანელობის ეფექტიანობის უზრუნველყოფის მექანიზმები და დისერტაციის შეფასებისა და დაცვის პროცედურები გამჭვირვალე და სამართლიანია და აღწერილია უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში, რომელიც ასევე შეიცავს დებულებებს დისერტაციის ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურების, დოქტორანტის სასწავლო საქმიანობისა და ინდივიდუალური გეგმის მომზადების შესახებ. როგორც უნივერსიტეტის დებულებებმა, ასევე პერსონალმა, რომელიც შეხვდა ჯგუფს დაადასტურა, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა იმგვარდაა დაგეგმილი, რომ დოქტორანტების ხელმძღვანელობას რაიმე სირთულეები არ შეექმნას. ასევე ხაზგასმით აღინიშნა, რომ პროექტის გუნდებს (რომლებიც შედგება როგორც აკადემიური პერსონალის, ასევე სტუდენტებისგან) აქვთ შიდა შესაძლებლობები, რათა განაცხადი გააკეთონ „საწყის“ დაფინანსებაზე ახალი იდეების დასაფინანსებლად, რომლებმაც შემდგომ შეიძლება მოიზიდონ გარე დაფინანსება ისეთი ორგანიზაციებისგან, როგორიცაა DAAD-ის ოფისი ან ეროვნული სამეცნიერო ფონდი. დისერტაციის დაცვა საჯაროა და დოკუმენტირებულია სტენოგრაფიული ჩანაწერით ან ვიდეოჩანაწერით, რაც პროტოკოლის განუყოფელი ნაწილია. სადოქტორო ნაშრომები საჯაროდ ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში. სადოქტორო პროექტების შედეგები და მათთან დაკავშირებული პუბლიკაციები ინტეგრირებულია სწავლებაში სხვადასხვა დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
- მისია
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა
- თანამშრომლების მიერ განხორციელებული კვლევითი საქმიანობა
- მემორანდუმები საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან
- ერთობლივი კვლევითი პროექტები
- მიმდინარე და დაგეგმილი სამეცნიერო საქმიანობა
- პერსონალის პროფესიული განვითარების პოლიტიკა
- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა
- მკვლევართა და დოქტორანტთა მონაწილეობა, დისერტაციის დაცვის კომიტეტი
- დახურული სადოქტორო პროგრამები
- სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შეფასება
- სადოქტორო დისერტაციების შეფასებისა და დაცვის დებულება
- უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება
- სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტების სტანდარტი
- კვლევის ეთიკა
- უნივერსიტეტის ვებგვერდი

რეკომენდაციები

წინადადებები

- სასურველია კვლევითი საქმიანობის მაღალი ხარისხის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, მათ შორის კონფერენციებში მონაწილეობა, საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების მიზნობრივი გამოქვეყნება და გარე კვლევითი დაფინანსების მოზიდვა.

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ○ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა ○ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში. ○ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა არის ძირითადი ჩარჩო დოკუმენტები, რომლებიც განაპირობებს უნივერსიტეტის მხარდაჭერას კვლევებისა და მისი ინტერნაციონალიზაციისათვის. კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გრუნი-მ დააარსა რამდენიმე ინსტიტუციური ერთეული, მათ შორის სამეცნიერო კვლევების დირექტორის მოადგილის თანამდებობა, სამეცნიერო-კვლევითი მართვის ცენტრი, სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივების განვითარების ფონდი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და შიდასაუნივერსიტეტო ჟურნალი „აკადემიური დაიჯესტი“, რომელიც უნდა მოემსახუროს მცირე ან ადგილობრივზე ორიენტირებული კვლევის შედეგების გამოქვეყნებას. კვლევითი საქმიანობა გრუნი-ში მიმდინარეობს აკადემიური ეთიკის სტანდარტის დაცვით. თვითშეფასების ანგარიშში სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრი წარმოდგენილი იყო, როგორც უნივერსიტეტში არსებული კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების მაკოორდინებელი ორგანო. სავარაუდოდ, ცენტრი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის კვლევითი და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების განხორციელებას და ორიენტირებულია არსებული ცოდნის განვითარებასა და ახლი ცოდნის შექმნაზე. ცენტრის ეგიდით გრუნი-ში ფუნქციონირებს შემდეგი კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები: • სამართლისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტი; • ადამიანის უფლებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; • ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტი; • სახელმწიფო მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; • იუვენოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; • ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი; • ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი; • მიწის სამართლის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი; • მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. ზოგიერთ ცენტრსა და ინსტიტუტს აქვს საკუთარი კვლევითი პერიოდული გამოცემები, რომლებიც უზრუნველყოფს პუბლიკაციების შესაძლებლობებს პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის. მაგალითად, სამართლისა და კრიმინოლოგიის კვლევითი ინსტიტუტი გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს „კრიმინოლოგი“; ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტი გამოსცემს ანალიტიკურ ჟურნალს „ქართული ემიგრაცია“. სხვა ცენტრები და ინსტიტუტები მონაწილეობენ ჟურნალების გამოცემაში პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. მაგალითად,

„კონსტიტუციური სამართლის ჟურნალი“ (რომელიც არ უნდა აგვერიოს პენსილვანიის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ „კონსტიტუციური სამართლის ჟურნალში“), „სამართლის აქტუალური საკითხები“ და „სამედიცინო სამართლისა და მენეჯმენტის ჟურნალი“. ამ ჟურნალების ღირებულება და უნივერსიტეტისთვის მისი მნიშვნელობა, რომ თავის თანამშრომლების იქ გამოაქვეყნებინოს ნაშრომები, მაშინ როდესაც უფრო პრესტიჟული საშუალებებია ხელმისაწვდომი, საუკეთესო შემთხვევაში საკამათო საკითხია. ეს არის ინსტიტუციური რეპუტაციის საკითხი და არა მხოლოდ რესურსების ეფექტური გამოყენება.

გრუნი-ში კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ძირითად ფინანსურ წყაროს წარმოადგენს სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივების განვითარების ფონდი. ჯგუფური პროექტების განხორციელებისას, პრიორიტეტი ენიჭება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ერთობლივ პროექტებს, სადაც შესაძლებელია თბილისისა და ბათუმის კამპუსების წარმომადგენლების ერთობლივი ჩართულობა და ინტერდისციპლინურობა.

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, გრუნი თანამშრომლობს უცხოურ უნივერსიტეტებთან, მათ შორის კიევის სახელმწიფო ეკონომიკურ უნივერსიტეტთან, ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპულ კოლეჯთან, ვებსტერის უნივერსიტეტთან, დიუსელდორფის განათლებისა და სამეცნიერო ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრთან, დუბჩეკის უნივერსიტეტთან (სლოვაკეთი), მიკოლას რომერის უნივერსიტეტთან, ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტთან და ჯონ კომენიუსის უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტს ასევე გააფორმებული აქვს თანამშრომლობის მრავალი მემორანდუმი, მათ შორის „მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმთან“ (WEF), ჰარვარდის ბიზნეს სკოლასთან (HBS), ტეხასის A&M უნივერსიტეტთან და ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტთან. გარდა ამისა, გრუნი-მ უმასპინძლა საჯარო ლექციებსა და ღონისძიებებს შემდეგი საერთაშორისო პარტნიორებისგან: ჰარვარდის უნივერსიტეტი, ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), ნებრასკას უნივერსიტეტი, ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი). უნივერსიტეტი არის ზოგიერთი საგნობრივი ასოციაციის წევრი, მათ შორის ევროპის კულტურული ტურიზმის ქსელის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის და ევროპის სამართლის ფაკულტეტების ასოციაციის.

გრუნი-მ მოიზიდა უცხოელი აკადემიკოსების მცირე რაოდენობა სადოქტორო დისერტაციების შესამოწმებლად ან სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობისთვის. ამ კუთხით ყველაზე აქტიური წარმომადგენლები არიან შემდეგი ქვეყნებიდან: აშშ, გერმანია, სლოვაკეთი, უკრაინა, ჩეხეთი, სომხეთი და ავსტრია. აგრეთვე, სამ დოქტორანტს ჰყავდა უცხოელი თანახელმძღვანელი ან სამეცნიერო კონსულტანტი.

გრუნი ზრდის საერთაშორისო სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსებას. საანგარიშო პერიოდში გრუნი-მ 227 119 ლარი დახარჯა კვლევის ინტერნაციონალიზაციისთვის სტატიებზე, კონფერენციებსა და მივლინებებზე. ამავდროულად, იმავე საანგარიშო პერიოდში, ადგილობრივი და საერთაშორისო სექციების გამიჯვნის გარეშე, შიდა საგრანტო პროექტებზე და წიგნების ბეჭდვაზე დაიხარჯა 609 820 ლარი, რომლის დიდი ნაწილი საერთაშორისო აქტივობებს და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოცემა/შესყიდვას მოხმარდა. შეხვედრებიდან ჯგუფს ჩამოუყალიბდა აზრი, რომ გრუნი გამჭვირვალედ აზიარებს ინფორმაციას დაფინანსების ყველა შესაძლებლობის შესახებ და უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა დაინტერესებული მხარისთვის, რათა ისარგებლონ დაფინანსების სქემებით.

მთლიანობაში, უნივერსიტეტი პოზიტიური მიემართება კვლევების ინტერნაციონალიზაციისკენ, მიუხედავად 6.1 პუნქტში შემოთავაზებული რჩევებისა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ჯგუფს ძალიან გაუჭირდა იმის გარკვევა, თუ სად იყო კვლევის ცენტრალური ადგილი უნივერსიტეტში; ამის ახსნა უნივერსიტეტის წევრებმა ვერ შეძლეს. კოლეგიამ მოისმინა და წაიკითხა, რომ სკოლები იღებენ გარკვეულ პასუხისმგებლობას კვლევითი საქმიანობის ორგანიზებაზე, რომ კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები შეიძლება იყოს ან არ იყოს განთავსებული სკოლების ფარგლებში, და რომ ამ ცენტრებსა და ინსტიტუტებს ასევე აქვთ კვლევითი ორგანიზაციის პასუხისმგებლობა, რომელთაგან ზოგიერთი ემთხვევა სკოლების ცენტრებს. პედაგოგიური პერსონალის თითოეული წევრი არის მინიმუმ ერთი კვლევითი ცენტრის ან ინსტიტუტის წევრი, თუმცა თითოეული ცენტრის ან ინსტიტუტის მიერ პერსონალისთვის გაწეული მხარდაჭერის გაგება რთული აღმოჩნდა. კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები ახორციელებენ უამრავ აქტივობას, მათ შორის კონფერენციის ორგანიზებას და თანამშრომლობის შეთანხმებებს, მაგრამ გაურკვეველი იყო, ეს ხდება წევრების ცალკეული საქმიანობით თუ წარმოადგენს მთლიანად ცენტრის ან ინსტიტუტის სტრატეგიული საქმიანობის შედეგებს. თუ ეს ხდება ამ უკანასკნელის საშუალებით, მაშინ არ იყო დაკონკრეტებული, როგორ არის ადმინისტრაციულად ორგანიზებული ცენტრები და ინსტიტუტები ამის მისაღწევად. ნებისმიერი კავშირი სამეცნიერო კვლევებისა და შემოქმედებითი ინიციატივების განვითარების ფონდსა და სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრს შორის, ერთის მხრივ, და ცენტრებსა და ინსტიტუტებს შორის, მეორეს მხრივ, არ იყო ადვილად გასაგები ჯგუფისთვის. პერსონალს, რომელიც ჯგუფს შეხვდა, და რომლებიც ჩართულნი იყვნენ კვლევაში, ყურადღება არ გაუმახვილებია კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების მნიშვნელობაზე ან არსებობაზე. ანალოგიურად, თვითშეფასებაში აღნიშნული იყო, რომ „უნივერსიტეტს უკვე აქვს პოსტდოქტორანტული კვლევითი ინსტიტუტი, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ნიჭიერი პერსონალის მოსაზიდად“, მაგრამ ჩანდა, რომ ინსტიტუტი მხოლოდ სახელობით არსებობდა, არ გააჩნდა სტრუქტურა და, სულ მცირე, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, არ ჰყოლია პოსტდოქტორები. ექსპერტთა ჯგუფმა შეიტყო, რომ ზოგიერთმა პოსტდოქტორმა სადოქტორო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ცოტა ხნის წინ დატოვა „ინსტიტუტი“, ამდენად, უნივერსიტეტის მიერ ტერმინის პოსტდოქტორის გაგება, რომელიც ჩვეულებრივ განისაზღვრება როგორც მკვლევარი, რომელსაც აქვს დოქტორის ხარისხი, გაურკვეველი იყო. ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტში კვლევის ორგანიზება ზედმეტად კომპლექსური და გაუგებარი იყო უნივერსიტეტის წევრებისთვის.

დოქტორანტების დამთავრების მაჩვენებელი 12,5%-ია. ეს მნიშვნელობა არც თუ ისე დაბალია სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში საქართველოში ან თუნდაც სხვა ქვეყნებთან მიმართებაში, მაგრამ ძალიან დაბალია, თუ მოხდება დადარება გლობალურ სტანდარტებთან. ხშირ შემთხვევაში, დაუსრულებლობის მიზეზები უნივერსიტეტის ფარგლებს მიღმაა, მაგრამ თუ ის შეძლებს ამ მაჩვენებლის არსებითად გაზრდას, ეს მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება მისი კვლევითი შედეგების, სადოქტორო პროგრამებში დასაქმებისა და რეპუტაციის ამაღლების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტები
- კვლევითი ცენტრის სტრატეგია
- კვლევის დაფინანსების საჯარო, დონორული და სასამართლო პროცედურები
- სტუდენტური საინვესტიციო ფონდის დაარსება
- მზარდ მკვლევართა ინიციატივების მხარდაჭერა
- სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შეფასება
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- მემორანდუმები უცხოელ კვლევით პარტნიორებთან
- ერთობლივი კვლევითი პროექტები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

• თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
რეკომენდაციები
რჩევები • სასურველია კვლევის ორგანიზაციული სტრუქტურა უფრო გამარტივებული მოდელის მიხედვით იყოს აგებული, რათა თითოეულმა მკვლევარმა ნათლად იცოდეს რას უნდა ელოდოს და რას მიიღებს უნივერსიტეტისგან. კვლევითი ცენტრებისა და ინსტიტუტების შენარჩუნების შემთხვევაში, მათი როლები და მოვალეობები გამჭვირვალე უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარისთვის. • სასურველია მოხდეს დოქტორანტურის პროგრამის დასრულების დაბალი მაჩვენებლის მიზეზების ანალიზი და შემუშავდეს სტრატეგია დასრულების კოეფიციენტის გასაზრდელად.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: გრუნი-ში კვლევითი საქმიანობის ხარისხის, კვლევითი ერთეულებისა და პერსონალის კვლევის პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა იყენებს შემდეგ მექანიზმებს: სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსების მიზნით, სამეცნიერო-კვლევითი და შემოქმედებითი ინიციატივების განვითარების ფონდის კომიტეტი აფასებს პროექტის შინაარსს და სამეცნიერო მიმართულებებს და მის განმახორციელებელი გუნდს; გაიცემა ნაწილობრივი ან სრული დაფინანსება. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის თავისთავად საქმიანობის ხარისხის შეფასება, ის საშუალებას აძლევს უნივერსიტეტს გაიგოს კვლევის სფეროები და მისი პერსონალის მიმართულებები. აკადემიური პერსონალის მეცნიერული პროდუქტიულობის შესაფასებლად, გრუნი-მ დანერგა ქულების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ციტირების მაჩვენებლებს და მოქმედებს როგორც პროდუქტიულობის წამახალისებელი ფაქტორი. ასევე ხარისხის მართვის სამსახური კონკრეტულ კვლევით ცენტრთან ან ინსტიტუტთან თანამშრომლობით აფასებს პერსონალს წლის პროფესორის გამოსავლენად. ანგარიშის შედგენის მიზნით, კვლევითი ცენტრები და ინსტიტუტები ავსებენ სპეციალურ ფორმას, რომლითაც ხდება სხვადასხვა მონაცემის შეგროვება, მათ შორის ინფორმაცია მიღწეული შედეგების და აქტიური კვლევითი პერსონალის რაოდენობისა და ვინაობის შესახებ.

ანგარიშები ანალიზდება სამეცნიერო კვლევების მართვის ცენტრის მიერ და გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების საფუძველზე იგეგმება შესაბამისი ტრენინგები და სემინარები. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით, სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების პროცესში ასევე ჩართულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც შესაბამის პერსონალს და კვლევით ერთეულებს აწვდის შეფასების შედეგებს. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დგება სამოქმედო გეგმა, რათა განხორციელდეს ნებისმიერი აუცილებელი ზომა ან/და გაიზარდოს შესრულების ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • კვლევითი/ოპერატიული საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმი (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტები) • კვლევის/ოპერატიული საქმიანობის ხარისხის შეფასების შედეგები • პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სტანდარტები) • აკადემიური პერსონალის აქტივობები სკოლის მიმოხილვის საფუძველზე • კვლევითი და ოპერატიული ინიციატივების შეფასების კომიტეტის გადაწყვეტილებები • აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
რეკომენდაციები
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსები ○ უსდ - ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსები (უძრავი და მოძრავი ქონება), რომლებიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება სტუდენტთა არსებულ რაოდენობას და დაგეგმილ კონტიგენტს.
--

- დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობას თბილისსა და ბათუმში შემდეგ მისამართებზე:

- თბილისში ოთხი ლოკაციაზე:
 - ცენტრალური კამპუსი, რომელიც მდებარეობს თბილისში, ირინა ენუქიძის #3 –ში. 4716 მ2, მათ შორის 2196 მ2 სასწავლო ფართი და 2520 მ2 დამხმარე/რეკრეაციული ფართი.
 - „გრუნივერსი“, სტომატოლოგიური კლინიკა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ბერბუქის ქუჩა #1 –ში. 500 მ, მათ შორის 375,56 მ2 სასწავლო ფართი.
 - კლინიკური უნარების ცენტრი, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ლუბლიანას ქუჩა #36 –ში. 1000 მ2, მათ შორის 872 მ2 სასწავლო ფართი და 128 მ2 საერთო საცხოვრებლის ფართი.
 - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი „პინეო“ ქ.თბილისში, გორგასლის ქუჩა #93. 9255 მ2, მათ შორის 3842 მ2 სასწავლო ფართი.
- ერთი ლოკაცია ბათუმში:
 - ბათუმის ფილიალის კამპუსი მდებარეობს ქ. ბათუმში, თამარ მეფის ქუჩა #60–ში. 1164 მ2, მათ შორის 921 მ2 სასწავლო ფართი.

სტუდენტებს წვდომა აქვთ უნივერსიტეტის ელექტრონულ რესურსებზე ყველა კამპუსში.

თითოეული შენობა ემსახურება თავისი საგანმანათლებლო მიზნების შესრულებას და აკმაყოფილებს მისი კვლევითი საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებს. კამპუსები უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემებით, ვენტილაციით, წყალმომარაგებით და უწყვეტი ბუნებრივი და ხელოვნური განათებით დამონტაჟებული ელექტროსტაბილიზატორებით ელექტრო უსაფრთხოებისა და უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველსაყოფად. შენობებში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების აღჭურვილობა, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაცია, ჰიდრანტები, მოწინავე ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და ევაკუაციის გეგმები, რომლებშიც მოცემულია ინსტრუქციები ავარიის შემთხვევაში უსაფრთხო გასვლის შესახებ. არსებობს სანიტარული პუნქტები ცივი და ცხელი წყლით, ზოგიერთი მათგანი კი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. ბიბლიოთეკები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით.

თბილისში უნივერსიტეტს აქვს საფონდო სავაჭრო ოთახი, რომელიც აღჭურვილია ვაჭრობისთვის საჭირო ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით, ასევე შესაბამისი რეკრეაციული საშუალებებით სტუდენტებისთვის. ასევე თბილისში არის სატელევიზიო სტუდია მონტაჟისა და კოსმეტიკური საშუალებებით. ბათუმში არის კეთილმოწყობილი იმიტირებული სასამართლო; თბილისში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ რეალური სასამართლო დარბაზები. ჯგუფმა მიიჩნია, რომ ეს საშუალებები მიზნის შესატყვისია და ფასდაუდებელია სტუდენტების სწავლისთვის.

მალიან დადებითი ასპექტია კრიმინოლოგიის სწავლებისა და ექსპერტიზის ცენტრი, რომელიც მდებარეობს ცენტრალურ კამპუსში. ეს არის სასამართლო ლაბორატორია დანაშაულის ადგილის სიმულაციით და აღჭურვილია თანამედროვე სასამართლო აღჭურვილობით, სპექტრომეტრებით, ოპტიკური და ციფრული მიკროსკოპებით, დაქტილოსკოპიის მასალებით, ულტრაიისფერი, ინფრაწითელი და სხვა ალტერნატიული სინათლის წყაროებით, ღამის ხედვის აპარატურით, საგამომიებო საქმეებით, ციფრული ფოტო აპარატურით, აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობით, პროფილური ვიდეო ფილმებით და სპეციალური კომპიუტერული პროგრამებით.

კამპუსებს აქვთ ცალკე სასწავლო აუდიტორიები თეორიული და პრაქტიკული კვლევებისთვის, კვლევითი ლაბორატორიები, ჯგუფური სამუშაო ადგილები, ადმინისტრაციული და შესანახი სივრცეები, დაარქივებული მასალების ოთახი და დასასვენებელი ადგილები. გამოყოფილია სასწავლო და დამხმარე სივრცეები. აუდიტორიები და ლაბორატორიები, ზოგადად, ადეკვატურია, აქვთ საკმარისი ინვენტარი და აღჭურვილობა და ყველა პროგრამისთვის საჭირო მოწყობილობა და ავეჯი, შესაძლებლობები და საშუალებები. აღმოჩნდა, რომ თბილისის კამპუსის აუდიტორიები კარგად იყო მოწყობილი და დეკორატიულად გაფორმებული, თითოეული შეიცავდა აუდიოვიზუალურ საჩვენებელ მოწყობილობებს და რამდენიმე ჭკვიან ტექნოლოგიას. თუმცა, ბათუმში არსებულ აუდიტორიებს სჭირდებოდათ გარკვეული კოსმეტიკური განახლება, უფრო მეტიც, IT ლაბორატორიის გარდა, არცერთი არ შეიცავდა რაიმე ტექნოლოგიას სწავლების მხარდასაჭრად და როგორც ჯგუფს აცნობეს, თითოეულ მასწავლებელს თან დაჰქონდა საჭირო ტექნიკა. კოლეგია დააკვირდა ერთ სასწავლო სესიას ბათუმში: მასწავლებელი არ იყენებდა არც ერთ საჩვენებელ ან სხვა საშუალებას.

გრუნი-ს აქვს დაცვის სამსახური და ვიდეო კონტროლი საჭირო სტიკერებით შენობაში. არის უსაფრთხოების ვიდეო ჩაწერისა და შენახვის საშუალებები, სადაც ჩანაწერები ავტომატურად იშლება.

გრუნის შეიმუშავებული აქვს პირველი სამედიცინო დახმარების სისტემა. თითოეულ კამპუსში არის სამედიცინო თვალსაზრისით მომზადებული პერსონალი, რომელიც აღჭურვილია პირველადი დახმარების საშუალებებით, მათ შორის არსებული მედიკამენტებით.

გადაადგილების პრობლემების მქონე პირებისთვის თბილისში არის პანდუსები და ლიფტები, ასევე ბრაილის შრიფტი. ორივე კამპუსში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის გამოყოფილია სპეციალური სანიტარული პუნქტები, ასევე მათთვის არის საგანგებო პარკინგის არე. ბათუმში მთავარ კორპუსში შესაძლებელია ლიფტით გადაადგილება, მაგრამ არა მეორად შენობასთან, რომელიც მნიშვნელოვანი სასწავლო ადგილია სტუდენტებისთვის. ამრიგად, თავისუფალი ნავიგაცია და მოძრაობა ყველასთვის უზრუნველყოფილი არ იყო.

სტომატოლოგიური კლინიკა „გრუნივერსი“ აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით და დაყოფილია სამ სივრცეთ: პირველ სივრცეში ორი კეთილმოწყობილი და სათანადოდ აღჭურვილი აუდიტორიაა სწავლებისთვის; მეორე ზონა განკუთვნილია პაციენტების მკურნალობისა და კონსულტაციისთვის, ხოლო მესამე ზონა განკუთვნილია პრაქტიკული გაკვეთილებისთვის.

კლინიკური უნარების ცენტრი აღჭურვილია მულაჟებით, მანეკენებითა და სახარჯო მასალებით, რომლებიც აუცილებელია სიმულაციური გარემოში პრაქტიკული სწავლებისთვის. საერთო ჯამში, მედიცინის შესასწავლად ხელმისაწვდომი საშუალებები თანამედროვეა. მას აქვს საერთო საცხოვრებელი, სადაც 80-მდე სტუდენტის განთავსებაა შესაძლებელი, აუდიტორიები, რადიო სტუდია „გრუნი“ და სტუდენტთა დასასვენებელი ადგილები.

საუნივერსიტეტო ჰოსპიტალ „პინეოში“ ფუნქციონირებს მრავალპროფილური კლინიკა სტუდენტებისთვის გამოყოფილი სასწავლო სივრცეებით. ზოგადად, არსებულ ობიექტებს, მისიის განცხადებაში მითითებულ მიზნებს, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებსა და ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობას შორის კარგი თანხვედრაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • თბილისისა და ბათუმში ადგილზე ვიზიტები • ამონაწერები საჯარო რეესტრიდან • უნივერსიტეტის ვებგვერდი • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
რეკომენდაციები • რეკომენდებულია ბათუმის ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით. • რეკომენდებულია ყველა სასწავლო და სოციალური სივრცის სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ინდივიდისთვის, მიუხედავად მათი ფიზიკური შესაძლებლობებისა. •
რჩევები
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) • კრიმინოლოგიის სწავლებისა და ექსპერტიზის ცენტრის ფუნქციონირება და აღჭურვა, რაც გამორჩეულად ეფექტურია სამართლის პროგრამის სტუდენტებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც სწავლობს სისხლის სამართლის მიმართულებით. • მედიცინის პროგრამის მხარდასაჭერად სპეციალიზებული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა და მასშტაბი. •
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.2. ბიბლიოთეკის რესურსები ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბიბლიოთეკა განთავსებულია ორ საუნივერსიტეტო კამპუსში: თბილისის ცენტრალურ კამპუსში (101 მ2) და ბათუმის კამპუსში (111 მ2). უნივერსიტეტი გეგმავს მნიშვნელოვნად გააფართოოს ბიბლიოთეკის მოცულობა თბილისის ცენტრალურ კამპუსში 350 მ2-ზე მეტ ფართობზე ახალი შენობის აშენებით. ეს არ ნიშნავს იმას, რომ არსებული სივრცე არაადეკვატურია სწავლის მხარდასაჭერად, არამედ ახალი შენობა

შექმნის დამატებით პირად სასწავლო სივრცეს. ეს განვითარება არ მოიცავს უფრო მეტი ბეჭდური ასლის მოპოვებას. რადგან წინამდებარე დებულება ადეკვატურია მიმდინარე სტუდენტური კონტიგენტისთვის და ხელმისაწვდომია ელექტრონული ვერსიები.

თითოეულ ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო ოთახი, ინდივიდუალური სამუშაო სივრცე და გუნდური მუშაობისთვის განკუთვნილი ოთახი. ბიბლიოთეკები აღჭურვილია მაგიდებით და სკამებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურსებითა და აუდიო-ვიზუალური აღჭურვილობით, მათ შორის კომპიუტერებით, ასლის გადამღები მანქანით, შეუზღუდავი ინტერნეტით და პრინტერებით.

ბიბლიოთეკის წიგნებისა და ელექტრონული რესურსების კოლექცია შეესაბამება კურსის სილაბუსებში მითითებულ საკითხავი ლიტერატურის საჭირო სიებს. ეს უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს წვდომა ჰქონდეთ ყველა საჭირო მასალაზე როგორც ბეჭდური, ისე ციფრული სახით. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის Nexus-ის მეშვეობით სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ელექტრონულ სასწავლო მასალებზე. ბიბლიოთეკას გააჩნია თანამედროვე საბიბლიოთეკო სტანდარტების მიხედვით ორგანიზებული ელექტრონული კატალოგი, ინვენტარიზაციის წიგნი და სარეგისტრაციო ჟურნალი. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოქვეყნებულია მის ვებგვერდზე.

სტუდენტებსა და თანამშრომლებს წვდომა აქვთ საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე, როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ასევე დისტანციურად. მონაცემთა ბაზები მოიცავს EBSCO EP Package ELITE, HeinOnline და Elsevier მონაცემთა ბაზებს, მათ შორის ScienceDirect და Scopus. სტუდენტებს აქვთ დისტანციური წვდომა GSS კოდექსისა და საკანონმდებლო აქტების კონსოლიდირებულ ვერსიებზე საკანონმდებლო მაცნედან.

ბიბლიოთეკის მუშაობას მეთვალყურეობას უწევს ბიბლიოთეკის დირექტორი და პერსონალი, რომელიც შედგება ხუთი თანამშრომლისგან, რომელთაგან ორი დაფუძნებულია ბათუმის კამპუსში. ბიბლიოთეკის პერსონალი გამოცდილია საბიბლიოთეკო საქმიანობაში და გრუნი უზრუნველყოფს მათ პროფესიულ განვითარებას საჭიროებისამებრ. პერიოდულად ტარდება ტრენინგები პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის რესურსების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესახებ. თუმცა, ზოგიერთმა სტუდენტმა, რომელსაც ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა, არ იცოდა, რომ შეეძლოთ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე ჰქონოდათ წვდომა დისტანციურად.

ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტი მუშაობს საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესებაზე; ინფორმაცია განახლებებისა და ახალი შენაძენების შესახებ სტუდენტებს ეცნობება ბიბლიოთეკის ვებგვერდისა და Nexus-ის მეშვეობით. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ადეკვატური თანხები გამოყოფილი საბიბლიოთეკო რესურსების განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- თბილისსა და ბათუმში ადგილზე ვიზიტები
- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან
- ბიბლიოთეკის წესები და რეგულაციები
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- უნივერსიტეტის ვებგვერდი
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან

რეკომენდაციები

რჩევები • სასურველია სტუდენტებში ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლება.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.3 საინფორმაციო რესურსი ○ უსდ - ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა. ○ ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ○ ხელშემწყობი მექანიზმები. ○ უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს აქვს საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა 24-საათიანი ინტერნეტ სერვისით, ზოგადი და სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფით, პროექტორებით, ტელევიზორებითა და სერვერებით. IT რესურსების შენარჩუნებასა და განვითარებას ხელმძღვანელობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი. Nexus-ი გამოიყენება როგორც ძირითადი ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმა მასწავლებლებსა და სტუდენტებს შორის. Nexus ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე და გვაწვდის ინფორმაციას პროგრამების, კურსების, სილაბუსების, მასწავლებლების, სასწავლო მასალების, შეფასების, სტუდენტების პირადი ფინანსური მდგომარეობის, აკადემიურ მიღწევებისა და კურსების შერჩევის შესახებ. Nexus-ის მეშვეობით ლექტორები ტვირთავენ საგანმანათლებლო მასალებს, ატარებენ კონსულტაციებს და მართავენ დისკუსიებს. სტუდენტები ენთუზიაზმით იყვნენ განწყობილი Nexus-ის ფუნქციონირების მასშტაბის შესახებ. ჯგუფმა შეიტყო Nexus-ის შესახებ როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის პერსპექტივიდან, რითაც დადასტურდა მისი ფართო ფუნქციურობა, როგორც განცხადებული იყო. პანელმა მიიჩნია, რომ უნივერსიტეტმა შესაძლოა გაზარდოს სტუდენტების რაოდენობა აბიტურიენტებისათვის Nexus-ზე წვდომის მინიჭებით, რომ გაიგონ, თუ როგორ შეიძლება გამოიყენოს უნივერსიტეტმა ტექნოლოგია მათ სწავლაში და შეინარჩუნოს მათთან ღია საკომუნიკაციო არხი. ანალოგიურად, შეიძლება ღირებული იყოს კურსდამთავრებულებისთვის Nexus-ის გარკვეულ მახასიათებლებზე წვდომა, რათა ისინი ინფორმირებულნი იყვნენ უნივერსიტეტის საქმიანობის შესახებ და კვლავ შეინარჩუნონ საკომუნიკაციო არხი. პერსონალის საქმიანობა მონიტორი ხდევს "Docflow" ელექტრონული პროცედურების პროგრამის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს როგორც შიდა, ასევე გარე დოკუმენტების რეგისტრაციას

და აღჭურვილია მთელი რიგი ფუნქციებით რომლებიც შექმნილია საოპერაციო ეფექტურობის გასაზრდელად. უნივერსიტეტს აქვს ინტეგრირებული სისტემა, რომელიც ხელს უწყობს პერსონალისა და ვიზიტორების რეგლამენტირებულ შემოსვლას უნივერსიტეტის შენობაში. უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგვერდია https://www.gruni.edu.ge, რომელიც წარმოადგენს ფუნქციურ ვებგვერდს ქართულ და ინგლისურ ენებზე; იგი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და შეიცავს აუცილებელ ინფორმაციას, მათ შორის, უნივერსიტეტის სტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამების, კადემიური პერსონალის, მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგის შესახებ თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით. ვებგვერდის ფუნქციონირება შენარჩუნებულია და რეგულარულად ხდება მისი განახლება. უნივერსიტეტმა ასევე შეიმუშავა სტუდენტური საცხოვრებლის რეგისტრაციის ვებგვერდი, რომელიც ეხმარება სტუდენტებს, რომლებსაც სურთ უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში განთავსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • თბილისისა და ბათუმში ადგილზე ვიზიტები • ტექნოლოგიების მენეჯმენტის პოლიტიკა • უნივერსიტეტის ვებგვერდი • ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან
რეკომენდაციები
რჩევები • კარგი იქნება, თუ აბიტურიენტებს და/ ან კურსდამთავრებულებს Nexus- ის გარკვეულ ფუნქციებზე ექნებათ წვდომა.
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.
7.4 ფინანსური რესურსები ○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

○ უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე. ○ უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება. ○ უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიულ და შუალედურ სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების შესრულებას, ასევე ბიუჯეტში გაწერილი ფინანსური რესურსები ეკონომიკურად მიღწევადია. უნივერსიტეტის ფინანსურ აუდიტს ახორციელებს უფლებამოსილი აუდიტორული კომპანია და შემუშავებული აქვს ფუნქციური მენეჯერული ანგარიშვალდებულება, ფინანსური მენეჯმენტი და კონტროლის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფს რესურსების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტურ და პროდუქტიულ გამოყენებას უნივერსიტეტის მიზნების მისაღწევად.

ბიუჯეტის რატიფიცირება ხდება ყოველწლიურად, უნივერსიტეტის საჭიროებებისა და თითოეული პროგრამით განსაზღვრული საჭიროებების გათვალისწინებით. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა 2024 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი და 2018-2023 წლების შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკა. ბიუჯეტის მიხედვით, 14 200 000 ლარის ოდენობის შემოსავალი მოდის შემდეგი წყაროებიდან: სწავლის საფასური 13 800 000 ლარი; შემოსავლის სხვა წყაროები 400 000 ლარი. ცხადია, სტუდენტების სწავლის საფასური წარმოადგენს ფინანსური რესურსის ძირითად წყაროს.

ფინანსური რესურსები ორიენტირებულია ძირითადი აქტივობების განხორციელებაზე, მათ შორის კვლევისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებაზე. ბიუჯეტის მიხედვით, დაბალანსებული ხარჯები, ჯამში 14 200 000 ლარის ოდენობით შემდეგ პუნქტებად იყოფა: ფაკულტეტისა და პერსონალის ხელფასები; პრაქტიკული მომზადების ხარჯები; საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება პროგრამის ხარისხის უზრუნველსაყოფად; სასწავლო და ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება; კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივების დაფინანსება; საზღვარგარეთ კვლევითი მივლინების მხარდაჭერა; ადგილობრივ გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების ხარჯები; უცხოურ გამოცემებში სტატიების გამოქვეყნების ხარჯები; საკანცელარიო და კომპიუტერული ტექნიკის სახარჯო მასალების შესყიდვა; საერთაშორისო სტუდენტების მობილობის მხარდაჭერა; სტუდენტების მხარდაჭერის სერვისები; საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტიპენდიები და წახალისება; სპორტული, კულტურული, ტურისტული და გასართობი ღონისძიებების დაფინანსება; უნივერსიტეტის განვითარებისა და სარეზერვო ფონდი; სამედიცინო სკოლის მასალების შესყიდვა; წამლები; საკომუნიკაციო და კომუნალური ხარჯები; დაქირავების მომსახურება; სარეკლამო მომსახურება; სასესიო ვალდებულებების დაფარვა და სხვა ხარჯები.

ადმინისტრაციულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ თითოეულ სკოლას შეუძლია მოითხოვოს წელიწადში რამდენიმე პროექტის დაფინანსება და რომ უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნას გაუთვალისწინებელი ან დამატებითი ხარჯებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შემოსავალი და ხარჯის დინამიკა
- უნივერსიტეტის ბიუჯეტი
- ფინანსური განყოფილების დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები დაინტერესებულ მხარეებთან

რეკომენდაციები
წინადადებები
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.